№ 19.

ივერია

წელიწადი პირველი

7 ივლისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. №5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.
ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე –II ომის ამბები. –III. საპოლიტიკო მიმოხილვა–IV. მგზავრის წერილები, სვაეთზედ – V. ბრძოლა რომის დასაპყრობლად. –VI. ჰაერში მოგზავრობა.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ „ივერია“ პირველის ივლისიდამ პირველს მომავალს იანვრამდე. ფასი ამ ექვსის თვისა ოთხი მანეთია.

საქართველოს მატიანე

(კორრესპონდენცია ზაქათალიდამ)

— ამას წინად ღვთის რისხვასავით სეტყვა რომ იყოს, იგი ჩვენს ზაქათალის მაზრაში სრულიად არ ეოფილა. მშვენიერი მოსავალი არის წელს ჩვენში. მაგრამ ეს მოვლენა ჩვენს გლეხებს არ ამხიარულებს იმიტომ, რომ ამ მოსავალს დაითარაშებენ ხალილბეგი და ზოკი სომხები. ზოკები წაართმევენ ვალში, ხალილბეგი კი თავის უკანონოდ დაჭერილ მიწებში. აი ეხლაც ხალილბეგი ნებას არ აძლევ შარანდელის მსგავსად მნები გამოიტანონ გლეხებმა მინდვრით, სანამ ორ წილს წვიმა მინდორში არ დაალპობენ. რაც ეს ჰირი აქ ბორბოტებას იჩენს, ის გამოთქმით არ გათავდება. ეს ათი-თორმეტი წელია ინგილოს გლეხები მასზედ ჩივიან, მაგრამ ვერაფერი გააწყეს რა. ახლა კი მარტოთ ღმერთს ეხვეწებიან: ღმერთო მოგვაშორე ეს რისხვა-ტანჯვა თავიდგანო!“ ცუდია ინგილოების მდგომარეობა მის ხელში.

—

— ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი:

„ნეტავი როდის ეღირსება ჩვენს ბეჩავს გლეხობას გაგება იმისთანა საქმეებისა, როგორც ის, რომ სად დაიწყობა და ან სად გათავდება მათზედ (გლეხებზედ) უფლება ისეთის ხალხისა, როგორც მამასახლისებისა, გზირებისა, ჩაფრებისა და სხვ.!

თელავის მაზრის ერთს სოფელში იმისთანა ღვთის რისხვა მამასახლისი არის თურმე, რომ როდესაც ჯარის შესაკრებათ ხალხსა თხოულობს მთავრობა, ეს კეთილ სინიდისიანი მამასახლისი ჰგზავნის მომეტებულ ნაწილათ იმ კაცებს, რომლების ჯავრიც სჭირს.

ეხლა დიდოებს დასამშვიდებლათ რომ ხალხი მოითხოვეს კახეთში, ამ მამასახლისს სხვათა შორის გაეგზავნა ერთი კაცი, განა თუ იმისთვის, რომ ამას ჰრგებოდა იქ წასვლა, არა—იმისთვის, რომ ადრევე მამასახლისი დაჰმუქრებოდა,—თუ შენ აქედამ არ დაგკარგე, არ იქნებაო. ბევრია არა თურმე საწყალმა გლეხმა, ბევრი თავში ქვა იცა, მაგრამ უნდა დაჰმორჩილებოდა თავისის მამასახლისის სამართლიან მოთხოვნილებასა! ეს კიდევ არაფერი! როდესაც ჰირველათ ზამთარშივე მოითხოვეს ხალხი მილიციის შესადგენათ, ერთს გლეხს თავისის ბადლათ სხვა გაეგზავნა იქა. ეხლა დიდოების დასამშვიდებლათ რომ ჯარი მოითხოვეს კახეთიდამ, იმავე კეთილ-სინიდისიანს მამასახლისსა ისევე კაცი ახლა დაღისტანში გაუგზავნია. ასე რომ ამ მამასახლისის კანონით ერთსა და იმავე კაცს შეიძლება ორჯერ ერგოს წასვლა ომში: ერთხელ უნდა გაგზავნოს ბადალი და მეორეთ თითონ წავიდეს. კიდევ კარგია, რომ მეორეთაც ბადალი არ გაუგზავნია, თორემ შენი

მტერი—მესამეთაც რომ ეოფილიეო მოთხოვნილება, მაშინაც იმასვე მიჰეუდებდა ჯოხსა ის განათლებული მამასახლისი!

×

„ვინ გამააჯორა, რომ მათრახით (მათრა ხით, თორემ ხილებს ვიღა ჩივის!) ცემა აკრძალული არის კანონითაო? თურმე ეს სულ ტეუვილი ეოფილა!! აბა მაშ თელავის მაზრის ჩაფრებსა ჰკითხეთ, თუ ეს ტეუილი არ გამოდგეს! ამ მაზრის ჩაფრების ლექსიკონში არ სწერებულა ეს კანონი, და ერთს მათგანს იმავე სოფელში, სადაც ზემოთ ნახსენები განათლებული მამასახლისი სუფევს, ერთი საწეალი გლეხი აუჭრელებია მათრახით იმისთვის, რომა ამ გლეხს თავის სიღარიბისგამო თოფი არა ჰქონია, როდესაც ის მოუთხოვნიათ ჯარში დიდოების დასამშვიდებლათ.

„თავათ არ იეო ძმარიო და ზედ დაასხეს წეალიო“—წუნკალა ჩაფრებისაგან ცემა-ტეეჰა და მამასახლისებისაგან ესეთი უსამართლობაღა უნდოდა ჩვენის გლეხების სანატრელს მდგომარეობასა!

დ. რ.

ომის ამბები.

თუმცა ღენერალი გეიმანი საღანლუღიდამ დაბრუნებულა მაგრამ მით ეარსის აღებისათვის ზარბაზნის სროლა 25 თიბათვემდი არ შემწდარა. შემდეგ, როდესაც ამბავი მოუვიდა, რომ მუხთარ-ფაშა მთელის ანატოლიის მხედრობით სოღანლუღის მთიდამ დაიძრა და ეარსისკენ წამოვიდაო, მაშინ ღენერალს ლორისმელიქოვს ციხის ზარბაზნები უკან დაუწევია რომ მით მის მხედრობას მოძრაობისათვის დაბრკოლება არ მიეცეს.

— ღენერალის ტერგუკასოვის გუნდს სურაფ-ოჰანესის გზაზედ თითქმის სამასი კომლი ქრისტიანების თავის მფარველობის ქვეშ აუევანია, რომელნიც ალაშკერტის ვაკეებიდამ გამოქცეულან, სადაც ბაშიბუზუკებს და ქურთებს მთელი სოფლები აუოხრებიათ. ამ გარემოებას გუნდის მოძრაობა დაუბრკოლებია ასე, რომ ოსმალოს ჯარი დასდევნებია და შეწუხება მიუეენებია. ამის მიხედვით ღენერალი ტერგუკასოვი რო სურფ-ოჰანესში მისულა, ვიდრე ბაიაზეთში წავიდოდა, სადაც დიდ ძალ მტერს მოელოდა, უკეთ უცვნია ავათმეოფთა, დაჭრილთა და გადამოსახლებულთა დასაცველად იგდირზედ წასვლა, სადაც მივიდა კიდეც 25 თიბათვეს. ხუთის დღის განმავალობაში ჩვენი ერთი აფიცერია დაჭრილი და ჯარის-კაცთა შორის მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 30-ია.

— 26 თიბათვეს ღენერალ ტერგუკასოვმა ბაიაზეთისკენ გასწია, იქითვე წინა დღეს ღენერალის ქელბალაიხანის გუნდიც მიმართულა.

— 28 თიბათვეს დილის რვა საათზე ღენერალი ტერგუკასოვი იმ ოსმალოს ჯარს დასცემია, რომელიც ბაიაზეთის გარს ერტეა (რიცხვით 30 ათასი). რვა საათის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა ერიშით აიღო ქალაქის ახლო-მაღლობები, ოსმალოს ჯარი სრულიად დაამარცხა და გაჰფანტა. ამ ომში ჩვენებს დარჩათ 4 ზარბაზანი, 80 ტეეე, სამხედრო ნივთეულება და ალაფი. ჩვენის მხრით ძალიან ცოტა ზარალია თურმე, თუმცა ჯერ ნამდვილადცნობაშიარარისმოეეანილი. ჩვენ ჯარს დიდი გულადობა და საქები ერთსულობა გამოუჩენია თურმე. ბაიაზეთის ციხე განთავისუფლებულ და მისი მეციხოვნე ჯარი, რომელმაც გულმაგრად აიტანა 23-ის დღის განმავლობაში მტრის გარს შემოდგომა, სულ ერთიანათ მშვიდობით დასხნილა. რადგანაც ბაიაზეთი ისე აოხრებულია თურმე, რომ მას არა ვითარი მნიშვნელობა აღარა აქვს და ამასთანაც ოსმალებს ეველა ბაიაზეთში მცხოვრებნი ამოუწეეეტიათ და ქალაქი ისე აუვსიათ მკვდრებით, რომ აქ დგომა აღარ შეიძლებაო, ამიტომ ერევნის გუნდის ჯარი დროებით იგდირში შეკრებილა, საიდამაც საცაა ისევ სამზღვარზედ გავაო.

ზემოხსენებულის საქმისათვის ხელმწიფე-იმპერა-ტორს ღენერალ-ტერგუკასოვისათვის წმინდა გიორგის ჯვარი მესამე ხარისხისა უბოძებია, და აგრეთვე მის მხედრობისათვის მადლობის შეთვლა უნებებია.

— 27 თიბათვეს ლაზები და აჭარლები ქვაბლიან ჩაიზედ მდგარს ეარაულებს დასცემიან, მაგრამ ჩვენებს გაუფანტავთ და დიდი ზარალი მიუეენებიათ.

ჩენის მხრით 9 ჯარის-კაცია დაჭრილი დამოკლული.

— ღენერალი ლორის მელიქოვი ზაიმისკენ წასულა.

მუხთარ-ფაშა სოღანლუღის მთაში გამაგრებულა.

— ტირნოვიდამ ამბავი მოვიდა, რომ მოწინავე ჯარი ბალკანის მთის იქით გადასულა 1 მკათათვეს ასე, რომ თოფის სროლაც არ დასჭირებიათ. 2-ს თიბათვეს ღენერალ-გურკოვს ხარკოი დაუჭერია (ეაზანლისის ჩრდილოეთით შვიდ ვერსტზედ არის) და იქ მეოფი ჯარი 3000 კაცი გაუფანტავს. ამ საქმეში ჩვენის მხრით ერთი ეაზახია მკვდარი და ხუთი დაჭრილი.

— 2-ს თიბათვეს რუსის ჯარს ნიკოპოლის ციხე-სიმაგრე (დუნაიის ნაპირას) აუღია. ორი ფაშა და 6000 ჯარის კაცი ტეეეთ დარჩენიათ.

ეს ორივე ამბავი იმდენად შესანიშნავია, რომ ასე თუ ისე საქმის გადაწყვეტას მალე უნდა მოველოდეთ. უეჭველია იმ მოწინავე ჯარს, რომელიც ბალკანიის იქით გადასულა ჩქარა დედა-ჯარიც მოეწევა და მაშინ ცოტაღა დააკლდებათ ადრიანოპოლამდე.

საპოლიტიკო მიმოხილვა

საფრანგეთი.—1 მკათათვეს (19 თიბათვეს) მაკ-მაგონმა ჩვეულებისა მებრ გასინჯა ჯარი, რომელიც პარიჟში ვერსალში და ახლო-მახლო ქალაქებშია დაბანაკებული. თქმა აღარ უნდა, რომ ამ გასინჯვამ წრეულ უფრო მონეტებული ეურადღება მიიქცია საზოგადოებისა ვიდრე სხვა დროს. ეოველის სახელმწიფოის დედა-ბოძი, როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად ჯარია და ეოველი მთავრობის მოდვაწეობაც, კეთილი თუ ბოროტი, ამ დედა-ბოძზედ არის დამყარებული. რის იმედით ჰკრა პანღური მაკ-მაგონმა ხალხის წარმომადგენელთ თუ არ იმის იმედით, რომ ჯარი ჩემკენ იქნებაო? რა იმედი ჰქონდათ ამ ჟამად სხვა და სხვა მონარხიელთა დასის კაცებს, თუ არ ჯარის იმედი?

ამის გამოისობით, ცხადია რომ ზემოხსენებულის გასინჯვის დღეს დიდი ხალხი დაესწრებოდა ლონშანის მინდორზედ: ეველას უნდოდა გაეგო თუ როგორ დახვდება ჯარი მაკ-მაგონს და თვით მაეურებელი ხალხის როგორ მოიქცევა. მართლა და დიდი ხალხი დაესწრო. აი რას იწერება სხვათა შორის, ერთის ნემეცურის გაზეთის პარიჟელი კორრესპონდენტი ამის შესახებ: „პოლიციამ არა ჩვეულებრივი ღონისძიება იხმარა მშვიდობიანობის დაცვისათვის: 750 პოლიციის კაცი, 300 რესპუბლიკის ქვეითა გვარდიის კაცი და 100 ცხენოსანი ბულონის ტეეში იეკნენ დაეენებულნი. თუმცა უპატიო სიტეკვას ძნელად გაიგონებდა კაცი, მაგრამ ხალხს რაღაც ღელვა ეტეობოდა და აწმეო მდგომარეობის ცხადი უკმაეოფილება ისმოდა. ღირს შესანიშნავია,რომ მარშალის მაკ-მაგონის სურათს მრავალი კაცი ჰეიდდა (ფასი 15 სანტიმი, ე. ი. 4 კოპ.), მაგრამ მეიდველი კი არავინ იეო.

„$2^3/_4$ საათზე პრეზიდენტის ლოჟაში გამოჩნდა მარშალის მეუღლე. იმავე ლოჟაში ისხდნენ საზოგადოების მაღალის ხარისხის მექონნი გვამნი. მონარხიელთა დასის დეპუტატები და სენატორები ცოტანი იეკნენ; პარიჟის მუნიციპალის საბჭოს წევრნი სრულებით არ იეკნენ მიწვეულნი.

„სამის ნახევარზედ ჯარიც მოგროვდა, მისი რიცხვი სულ 25,000 კაცი იეო. ბოლოს მარშალიც მობძანდა თავისის ამალით. ხალხი დუმილით დაუხვდა, არც „გაუმარჯოს რესპუბლიკას“ დაიძახა, არც „გაუმარჯოს მარშალს.“ მარტო საოფიციალო ლოჟებიდამ ტაში დაუკრეს მაკ-მაგონს და ხმა დაბლა დაიძახეს: „გაუმარჯოს მარშალს“. დანარჩენმა საზოგადოებამ, ხალხმა და თვით მხედრობამ ხმა არ ამოიღო (ამბობენ მთავრობამ წინადღეს ბძანება გასცაო, რომ მხედრობამ ხმა არ უნდა ამოიღოსო.)“

„$4^3/_4$ საათზედ გათავდა ჯარის განხილვა, საზოგადოება კმაეოფილი დარჩა მხედრობისა, რომელმაც დიდი წარმატება გამოიჩინა, მეტადრე არტილლერიამ. განხილვის შემდეგ მაკ-მაგონი მივიდა საოფიციალო ლოჟებთან და თავი დაუკრა მათში მსხდომ საზოგადოებას. მოისმა კიდევ „გაუმარჯოს მარშალს“, მაგრამ ხალხმა მაინც ხმა არ ამოიღო. მარშალს ხალხი უგემურად დახვდა, არავითარი სალამი ვერ მოიპოვა ხალხში და ისე წამოვიდა შინისაკენ. მხოლოდ რამდენიმე კაცმა თავი დაუკრა.“

იმავე დღეს მაკ-მაგონმა შემდეგი ბძანება მიჰსცა მხედრობას:

„ჯარის კაცნო! მე მომეწონა თქვენი გაწრთვნილობა და ვარჯიშობა. მე ადრევაც ვიცოდი თქვენის უფროსებისაგან, რომ თქვენ გულმოდგინე და მეცადინენი ხართ სამსახურის საქმეში.

„დიახ, თქვენ გესმისთ თქვენი მოვალეობა; თქვენ ჰგრძნობთ, რომ ხალხმა თქვენ მოგანდოთ თვისი უმვირფასესი ინტერესების დაცვა. რაც უნდა იეოს, თქვენი იმედი მაქვს, რომ იმ ინტერესებს დაიცავთ. თქვენ, დარწმუნებული ვარ, შემეწევით უფლებისა და კანონის პატივის ცემის დადგენისათვის, ეგ ჩემზედ არის მონდობილი და მე ავასრულებ კიდეც ბოლომდე“.

აქ შესანიშნავი ის არის, რომ მაკ-მაგონი სამხედრო ბძანებაში პოლიტიკასაც იხსენიებს. შესანიშნავია იმიტომ რომ მაკ-მაგონი თავის დღეში სულ იმას იძახოდა, რომ მხედრობა პოლიტიკაში არ უნდა გაერიოსო, — და ეხლა კი თვითონ ამბობს, თქვენ შემეწევითო პოლიტიკის წავმართვაშიო.

ამ ჟამად საფრანგეთში ეველა იმას კითხულობს თუ როდის მოხდება ახალი პალატის არჩევანი. რესპუბლიკელებს უნდათ, რასაკვირველია, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს; მთავრობა კი ცდილობს ავები როგორმე დიდხანს გავწიოვო და მით დრო შევირჩინოო ჩემის საქმის წარმართებისათვისაო.

მაგრამ ამბობენ, რომ ჰერცოგს დეკაზს უნდაო არჩევანი მალე მოახდინოსო. ჰერცოგ დეკაზს ვითომ ამბავი მოსვლოდეს სამზღვარ დარეთიდამ, რომ ევროპიის სახელმწიფოებს განზრახვ აქვსთ მომავალ საქმეთა განსჯა საფრანგეთს მიანდონო თუ მას კანონიერი მთავრობა და წესიერი განწეობილება ექმნებაო ე. ი. თუ ხალხის წარმომადგენელნი ეეოლებაო. აი ამის გამოისობით აჩქარებს თურმე ჰერცოგი დეკაზი არჩევანს. გაზეთი „Temps“ ამბობს, რომ არჩევანი სეპტემბერში მოხდებაო.

ჯერ კი მთავრობა დიდ ფაცა-ფუცშია, რომ როგორმე ხალხს თავისი მომხრენი ამოარჩევინოს. მაგრამ ერთი გარემოება უხლართავს გზას. მონარხიელთა შორის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი განხეთქილებაა. ამისთანავე განხეთქილება მოელის მთავრობას მაშინ,როცა თავის მომხრეებს დაასახელებს ამოსარჩევად. ვის დაასახელებს ხალხის წინაშე ლეგიტიმისტებს ორლეანელებს თუ ბონაპარტიელებს? ვისის სახელით წარმოუდგება მთავრობა ხალხსა? ჰერცოგი ბროლჰი ცდილობდა, რომ ჯერჯერობით მაკ-მაგონის სახელით გამოსულიეო მოედანზედ, მაგრა სხვა და სხვა მონარხიელები ამაზედ თანახმანი არ არიან, რადგანაც თვითვეულს მათგანს უნდა რომ არჩევანი მარტო მის სასარგებლოდ მოხდეს და მხოლოდ თავისი საკუთარი მომხრე გაიეგანოს არჩევანში. რა მნიშვნელობა აქვს მაკ-მაგონის სახელსაო? მისი სახელი მომავალში რას მოასწავებსო? მაკ-მაგონობა უქმი სიტყვაა და ამ სახელს არავითარი მკვიდრი მნიშვნელობა არა აქვსო. მთავრობამ რომ უთხრას მაკ-მაგონის მომხრე პირნი ამოირჩიეო, ხალხს შეუძლიანთ უპასუხოს—ვინ არ იეოო მაკ-მაგონის მომხრეთაო, ვინ გადუდგაო მაკ-მაგონს,—აქამდისინ არ გამიგონიაო, და ამის შემდეგ ხალხი რასაკვირველია ამოარჩევს ისევ უწინდელებს, რადგანაც იმათ ხელიც არ გაუნძრევიათ მაკ-მაგონის წინააღმდეგ. ამაში მდგომარეობს მთავრობის სიუძლურე და უღონობა. მაგრამ რაც უნდა უსაბუთო და უსაფუძვლო იეოს მთავრობის მოქმედება, მას ერთი ღონე აქვს მკვიდრი და შეურეველი, რომელსაც შეუძლიან მოჰკიდოს ხელი, როდესაც კანონიერ ნიადაგზედ დგომა მოჰბეზრდება. ეს ღონე ძალაა, თოფ-იარაღზედ დამყარებული. ძალადობას სხვა რა საბუთი უნდა? თვისის თავის საბუთი თვითონ არის. მაკ-მაგონი ტეუილად კი არ ეუბნება მხედრობას: თქვენ შემეწევითო რომ ჩემი დანიშნულება ბოლომდისინ ავასრულოთო. ახლა ჰკითხეთ მაკ-მაგონს რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება?

მაშინ, როცა მონარხიელთა შორის განხეთქილება და უთანხმოება ჰსუფევს და ეველა მხოლოდ თავის სარგებლობას ეძიებს რესპუბლიკელნი მტკიცე თანხმობით არიან. აი რას იწერება რესპუბლიკელთა შესახებ „Indegondance Belge“-ის კორრესპონდენტი:

„მრავალი წერილი წავიკითხე გადაეენებულის პალატის დეპუტატთა მიერ გამოგზავნილი სხვა და სხვა დეპარტამენტიდამ. ეველანი დარწმუნებულნი არიან, რომ 363 რესპუბლიკელნი ხელმეორედ იქნებიან ამორჩეულნი ეველგან ის მეუდროება ჰსუფევს, რომელიც ძალის ნიშანია. არავის ეჯვიც არ შეჰპარვია მასზედ, რომ რესპუბლიკელნი გაიმარჯვებენ. ეველა ეს წერილები ამტკიცებენ, რესპუბლიკელთა შორის მტკიცე განწეობილებაა. თვითვეულის ამოსარჩევის კაცის შესახებ მხოლოდ იმას ჰკითხულობენ რესპუბლიკელია თუ არა, და ოღონდ რესპუბლიკელი კი, იეოსო, რა ფერისაც უნდა იეოს მისი აზრი, სულ ერთია.“

სერბია.—2 მკათათვეს (29 თიბათვეს) დაიწეო მოქმედება სკუპშტინამ. მთავარმა მილანმა წარმოჰსთქვა სიტყვა, რომელშიაც უწინარესს აღიარა ის ღვაწლი, რომელიც დასდვა სერბიამ თვის გვარტომობის საქმის სისრულისათვის. იმედი მაქვსო, რომ ისტორია უკანასკნელს ომს სერბიელებისას ქებით, ღირსეულად მოიხსენებსო. დიდის იმედით მოველიო, რომ დაღვრილი სისხლი ნაეოფს მოიტანსო აღმოსავლეთის ქრისტიანთა და კაცობრიობისათვის. მთავარმა მოაგონა მსმენელთა ის სიტყვები, რომელნიც წარმოჰსთქვა მან ოსმალეთთან მორიგების დროს, სახელდობრ ის, რომ ქრისტიანთა ბედი ამ ჟამად უფრო ძლიერ ხელშიაო. ეს სიტყვები გამართლდება კიდეც: „ჩვენთა სამზღვართა ახლოს,—ჰსთქვა მთავარმა,—განმათავისუფლებელ—ხელმწიფის დროშა გაშლილიაო. მის იმპერატორების დიდებულების მობძანებამ რუმინიაში მომცა მე სანატრელი შემთხვევა გამომცხადებინა მისთვის ჩემის ხალხის მაგიერ მადლობა ძლიერის მფარველობისათვის, რომელიც აღმოაჩინა მან ჩვენდამი წარსულს ომიანობის დროს. მე წრფელის მადლობით ავასრულე ეს მოვალეობა და გულ მოწეალე ხელმწიფემ მიიღო ამ მადლის გამოცხადება თვისის ჩვეულებრივის წეალობითა და ამასთანავე

დამარწმუნა,რომ იგი შემდეგშიაც იზრუნავს სერბიის კეთილ-მდგომარეობისათვის და სერბიის ტომობისათვის.“

„უფალნო დეპუტატნო! თუმცა სერბია ამ ჟამად იმდენად ბედნიერია, რომ შეუძლიან მხოლოდ მშვიდობიანობის საქმეს დაადგეს, მაგრამ რაც უნდა იეოს ჩვენ გარშემო იმისთანა საქმეები ხდება, რომ სამშობლოს სიკეთე მოითხოვს ჩვენგან დაუდგრომელ სიფხიზლეს, ამისთანა მძიმე მოვლენათა აღსავსე დროს, ცრუ მიმართულება ან რისამე წინ დაუხედავად განაჩენი დასაღუპავ შედეგს მოასწავებს ჩვენთვის. ბევრჯელ დაგიმტკიცებიათ თქვენი გონიერება და მამულის მოყვარეობა, და ამის გამო იმედი მაქვს, რომ ამისთანა განსაცდელით აღსავსე დროს ურთიერთშორის ერთობას და მით არ დაუკარგავთ სერბიას იმ ზნეობის სიმაღლეს, რომელიც შეიძინა მანა ამოდენა მსხვერპლის დადებითა.“

— ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ვენიდგან: „აქ თუმცა სერბიის საქმე გარდაწყვეტილია, ე. ი. თუმცა სერბიის ნეიტრალიტეტს ეჭვი არ აქვს, მაგრამ მაინც მომავალი სკუპშტინა (იგი რომელიც ზევით მოვიხსენიეთ) ცოტად თუ ბევრად აშინებს პოლიტიკის მიმდევარს საზოგადოებას. საზოგადოების აზრით მთავრის მლანის მდგომარეობა ძალიან შერეულია და რომ თავი გადირჩინოს იგი იძულებულ იქმნება ეხლანდელი სამინისტრო გადააყენოს. გადააყენებდა კიდეც, დარწმუნებული რომ იეოს, და იმედი ჰქონდეს სხვას მკვიდრს სამინისტროს შევადგენო; მაგრამ მილანს ესმის, რომ ამ გვარის სამინისტროის შედგენა თითქმის შეუძლებელია და ისევ რისტიჩის კალთას დაიჭერს. თუმცა რუსეთის მთავრობა ჰსწუალობს მილანს, მაგრამ ეს წუალობა მხოლოდ იმისთვის თუ გამოადგება, რომ ომის გათავებამდე ტახტი შერჩება, თორემ სხვაფრივ კი არაფერს არ შეეწევა ამის გამო მილანი ეხლა შინაობაში ჰსცდილობს იმისთანა შემწეობა მოიპოვოს, რომელზედაც იმედით დანდობა მისთვის შესაძლოა. ჩერნოგორიელთა გამარჯვებაც დიდ ვნებას აძლევს სერბიის მთავარსა და მის მთავრობას. სერბიელთა შორის თან და თან მატულობს ჩერნოგორიის მთავარისადმი თანაგრძნობა და სიყვარული.“

თუ ეს ყველა მართალია აღარავის არ უნდა უკვირდეს რომ მილანს თავის ქვეყანაში სახელი გაჰსტეხია.

ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲐᲛᲑᲔᲑᲘ.—გაზეთს Independance Belge-ს ტრაპიზონიდამ ჰსწერენ: „უკანასკნელი ამბები ძალიან აწუხებენ საზოგადოებას, მეტადრე არზრუმში, სადაც დიდი დარღვეულობაა და ეშინიანთ მხედრობაც ამ მდგომარეობაში არ ჩავარდეს, ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ჯარი თითქმის ნახევრად უბრალო გლეხებისაგან არის შემდგარი, რომელთაც თავის დღეში ცეცხლი არ უნახავთ და რომელთაც მხოლოდ ეხლა ასწავლიან საჩქაროდ თოფის ხმარებას. თუ რუსებმა ისარგებლეს ამგვარის გარემოებით, შესაძლებელია, რომ ერთის თვის განმავლობაში არზრუმს მივლენ და ადვილათაც აიღებენ, რადგანაც ეს ქალაქი კარგა გაწეობილ ჯარს ვერ გაუმაგრდება. მაგრამ თუ მუხთარ-ფაშა დაბრკოლებს როგორმე რუსის ჯარს და სამს ან ოთხს კვირას შეაყენებს სოღანლუღის მაღლობზედ, მაშინ ოსმალებს უფრო მეტი იმედი ექნებათ გამარჯვებისა ვიდრე ეხლა, რადგანაც ეოველ დღე ახალ-ახალი ჯარი მოსდით. ოსმალებს დიდი იმედი აქვსთ ქურთების ჯარისა, რომელთა მოსაკრეფად და წასახალისებლად ქურთისტანში გაგზავნილია ბაჰრი ბეი, ბედირ-ხანისშვილი.

„ქურთისტანი, როგორც ყველა ელის ხალხთა ქვეყანა არასდროს არ ეოფილა წესიერ სახელმწიფოდ განწეობილი. იგი შემდგარია რამდენიმე ტომთაგან, რომელნიც ცალკ-ცალკე ცხოვრობენ და ყველას თავ-თავისი მოთავე ჰყავს. მაგრამ, ეოველთვის ამ მოთავეთა შორის ერთი რომელიმე გამოჩნდებოდა და უფლებას დაიპერობდა ხოლმე მთელს ხალხზედ. ამ ჟამად ქურთისტანის ერთი ნაწილი სპარსეთს ემორჩილება და მეორე ოსმალეთს. ის ტომნი რომელნიც სომხეთის ახლოს არიან მოსახლებულნი ხვნა-თესვას არიან მიჩვეულნი, და რომელნიც ამ ორთა სახელმწიფოთა საზღვარ შუა სცხოვრობენ იმათ კი ელის ხალხის ჩვეულება შერჩათ. ქურთები მხოლოდ ავაზაკობით და ცარცვით იკვებებიან. სპარსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოს ემალებიან ხარჯი არ მიგვაცემინონო. ბევრჯელ გაუგზავნია ხონთქარს მაჰმუდს ჯარი მათთა დასამორჩილებლად, მაგრამ ვერა გაუწევია რა: რა კი ჯარი გაბრუნდებოდა, ქურთები ისევ თავისას მოჰყვებოდნენ. თუმცა ქურთებს ძალიან უყვართ ცარცვა. მაგრამ თავის სიტყვაზედ კი მაგრა დგანან. 1839 წ. ქურთებმა თვისთა მოთავის ბედირ-ხანის წინამძღომლობით ომი აუტეხეს ოსმალეთს.

ოსმალეთმა მანამ 60,000 ჯარის კაცი არ გაგზავნა ვერ დაიმორჩილა ბედი-ხანი, რომელიც ბოლოს დაატუსაღა და კანდიაში გარდაასახლა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. შვილი მისი ბაჰრი-ბეი სტამბოლში გაიზარდა.

ეხლა ოსმალეთი ჰსცდილობს ბედირ-ხანის სახელით ისარგებლოს და მის შვილს მოაკრეფინოს ქურთებთა შორის რაც შეიძლება მომეტებული ჯარი.“

– რუსულის გაზეთის „Новое Время“-ს კორრესპონდენტი (რუსი) ვენიდამ იწერება: „ჩეხიის ხალხისაღელვებადიდეურადღებასიზიდავს,როგორც ვენის კაბინეთისას აგრეთვე საზოგადოებისასაც. ჰეტერბურღში ვერც კი წარმოიდგენენ რაგვარ მნიშვნელობას აძლევენ აქ ამ აღელვებას. ჩეხიელნი, რასაკვირველია, დიდის თანაგრძნობის ღირსნი არიან, და რასაკვირველია სასიხარულოა რომ იგინი ასე მეგობრულად გვაწდენენ ხელს, მაგრამ მაინც ამ გვარი მოძრაობა ამ ჟამად ჩვენთვის მავნებელია. ჰანსლავ ომის მოლანდებას შეუძლიან აქ ისე განარისხოს მთავრობა, რომ უსაქმო მდგომარეობიდამ გამოიყვანოს და ხელში იარაღი ააღებინოს. სლავიანთა გვარ-ტომობის გაძლიერება ავსტრიაში არც ვენგრიელებს უნდათ და არც ნემენცებს; ამიტომ ამ საქმის აღძრა ამ ჟამად ვგონებ, უდრო-უდროა. ჩვენ ჯერ დუნაიაზედ უნდა გავათავოთ ჩვენი ანგარიშები, იქ კიდევ ბევრი შრომა და ღვაწლი მოგველის.

„ბოლგარიის დაჭერა ხომ ძნელია, ხოლო მისი მომართვა და ზნეობითი შეკავშირება რუსეთთან უფრო ძნელი იქმნება. ამ სიძნელის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლგარიის განათლებულნი წინა-კაცნი არ ენდობათ რუსეთის უანგარობას და ვინც დღეს თავსა ჰხრის რუსეთის დროშის წინაშეა იქნება ხვალ ჩვენ წინააღგვიდგნენ. საქმე იმაზედ იქნება დამოკიდებული თუ როგორ მოვახერხებთ ბოლგარიის განწყობასა და აღდგინებასა.

ბოლგარიაში ამ ჟამად, როგორც მოგეხსენებათ, რუსის მმართველობაა შემოღებული და დროებით თ. ჩერკავსკი არის დანიშნული გუბერნატორად.

ამ საგნის შესახებ გაზეთის „Times-“ის კორრესპონდენტი ბუხარესტიდამ იწერება: „რა ქალაქშიაც შედის რუსის ჯარი იმ წამსვე მუნიციპალური განწყობილება იმართება მაჩინი, სისტოვი და ტირნოვო ქრისტიანთა უფროსია ეძვემდებარებიან კიდეც, რომელნიც თვითონ მცხოვრეთა მიერ არიან ამორჩეულნი.

ბოლგარიის სათემო მმართველობა ტირნოვაში იმართება ჰირდა ჰირ თ. ჩერკასხვის ზედამხედველობით.

ბოლგარიის მმართვას აწესებენ საკუთართა კანონთა მიხედვით ახალი წესდებულება დამეარებულია საფრანგეთის კანონებზე და იმ ცვლილებათა ჰროგრამმაზე, რომელნიც სტამბოლის კონფერენციის მიერ იყვნენ შემუშავებულნი.“

– ერთს ავსტრიის გაზეთში სწერია: „სრულიად მართლდება ამას წინად გავარდნილი ხმა, რომ სერბიას და რუმინიას ერთ-ერთმანეთის შორის ჰირობა დაუდვიათ შესახებ ჯარის სერბიაზედ გაევანისა და სერბიის ომიანობაში მონაწილეობის მიღებისა. ამ განაწილების მიზეზის ჰოვნა ადვილია. თვითან ოსმალები მისცემენ ამ მიზეზს, რადგანაც ოსმან ფაშა უსათუოდ ეცდება დაიჭიროს ნეგოტინი და სხვა ადგილებში მდ. ტიმოკზე, რომ როგორმე გზა შეუკრას რუმინიელებს. ომის მიზეზიც ეს იქნება.

ამას რუსული გაზეთი „Новое Время“ შემდეგ შენიშვნას უმატებს: „ამ საქმეში რუსეთი სრულებით არ არღვევს თავის სიტყვას, რომელიც ავსტრიას მისცა სერბიის ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, რადგანაც რუმინია სრულიად თავისუფალია და თავის მხრით შეუძლიან მოზავე მოიჰოვოს. თუმცა ეს ბოლოს სულ ერთი გამოდის, მ ა გ რ ა მ დ ი ჰ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი ფ ო რ მ ა ხ ო მ დ ა რ ღ ვ ე უ ლ ა რ ი ქ ნ ე ბ ა; ს ა ხ ე ლ მ წ ფ ო თ ა შ ო რ ი ს ს ა ქ მ ე ც ე ს ა რ ი ს.“ ალალ-მართლობა ეოველ საქმეში საქებია.

– ინგლისურს გაზეთს „Standard“-ს ბერლინიდამ დეჰეშა მოსვლია, რომელიც ამბობს, რომ ოდო როსსელს, ინგლისის ელჩს გერმანიის წინაშე, უთქვამს თურმე, რომ ინგლისი არას დროს არ ჩაჩუმდებაო თუ რუსეთი სტამბოლს დაიჭერსო. ბისმარკს მიუგია თურმე, რომ სტამბოლის დაჭერა უკეთესი ღონისძიებაა იმისათვის, რისათვისაც რუსეთმა ომი გამოაცხადაო.

– გაზეთი Голосъ-ს რაგუზიდამ დეჰეშა მოსვლია, სადაც მოხსენებულია რომ სერბიას და ჩერნოგორიას ზავი შეუკრავთ ერთი ერთმანერთში და მილანსა და ნიკოლოზს ხელიც მოუწერიათო. მართალია ეს ამბავი თუ არა ღმერთმა უწყის.

– ჰარიჟიდამ იწერებიან, რომ არჩევანი საფრანგეთში 14 ოკტომბერს არის დანიშნულიო.

მგზავრის წერილები

სვანეთზედ

22-ს მკათათვეს 1973-ს წელსა, ქუთაისიდამ შუადღისას ლეჩხუმისაკენ გავემგზავრე; იმავე საღამოს სოფ. ნიკორის-ბოლოს მივატანეთ. ჩემთან იყო ერთი ჩემი მეგობარი, რომელიც ჩემსავით გახარებული იყო სვანეთის ნახვისათვის და რომელიც ყოველთვის მზათ იყო ამ გვარ მგზავრობისათვის; ორი კაციც გვახლდა ჩვენ, რომელთაც ლაილაშამდინ ცხენები გვაქირავეს, და გზაში ჩვენ ერთი იმერელი მოგვეწია, იმავე ლაილაშს მიმავალი. ქუთაისიდამ მოყოლებული ნიკორის-ბოლომდინ მშვენიერი გზა მისდევს რიონის ხეობას,ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზედ. ეს გზა კარგათ არის შოსსეთ დაგებული და თუმცა კი ცოტათი ვიწროა ეკიპაჟების სიარულისათვის,მაგრამ,ცხენოსან კაცს—უკეთესი გზა არ უნდა. მაგ იმერელმა გზაში ბევრი გვასიამოვნა; რაღაც ნაირ ფერის ჯორზედ იყო დასკუპებული და წახრილი და ჯორსაც კუდი ნადირისაგან გადაჭმული ჰქონდა. როცა დეზებს შემოჰკრავდა თავის ჯორსა ეს იმერელი,კუდს ისე გააბზეკდა ჯორი,რომ უნებურათ გაგვაცინებდა ხოლმე. გზაში, ამ ნაირი შექცევა ძალიან სასიამოვნოა, დაღალულობას ვეღარა გრძნობს მგზავრი. სულ ხმა გაუწყვეტლათ ლაპარაკობდა ეს ჩვენი იმერელი; ენა არ ეღალებოდა; ზოგს ზღაპრებს და ანდაზებს და სხვა და სხვა ამბებს გვეუბნებოდა. უმეტესად კი ტყის კუდიანებზედ ჰქონდა მუსაიფი,რომელიც ვითამ ამ ალაგებში უნახავს მაგას,საცა ჩვენ მივდიოდით. ბოლოსა ჰსთქვა,რომ ჩვენ ამ კუდიანებს „ჭინკას“ ვეძახით. იმ წამსვე მე აზრში მომივიდა,რომ ეს იმერული „ჭინკა“,უსათუოთ მაიმუნის გვარი ნადირი უნდა იყოს, იმიტომა რომ, აფრიკაში არის პატარა მაიმუნი, რომელსაც იქ ეძახიან „ჭინოკა“ ანუ „ჭინაკო“, როგორათაც იქ, იმერეთში, ჰრქმევია. ვინ იცის, იქნება მართლა ეგ გვარი მაიმუნი იპოვებოდეს კავკასიის ტყიან მთებში?—თორემ რათ იქნებოდა ამ სახელში მაგისთანა ახლო მგზავსება, და აფრიკანების სიტყვა „ჭონოკა“, „ჭინაკო“, ჩვენს ენაში საიდამ შემოვიდა, თუ არა იმ მიზეზით,რომ აქაც ყოფილიყოს აფრიკის ნადირი.

სანამ ღამის სათიებელად სოფ. ნიკორის-ბოლოს მივიდოდით, გზაში კარგათ შემოგვიღამდა; და ეს იმერელი,აკი ფრთხილი არ ყოფილა,სულ ხან ჩემ ცხენს ეხახუნებოდა და ხან ჩემ ამხანაგის ცხენსა; უკან დარჩენა ან წინ წასვლა და განზედ გადგომაც ეშინოდა თურმე. როგორც რომ რამე ხმა ტყიდან შემოგვესმოდა, ან ფოთელი შეირყევოდა ან ხე დაიჭრიჭინებდა, იმას სულ ჭინკები ეჩვენებოდა. ძრიელ სასაცილოთ კი ავიგდეთ ეს ჩვენი მამაცი იმერელი და ძრიელაც შეგვიფხუკიანდა,მაგრამ შიშმა და სიფრთხილემ ვერ მოგვაშორა. სხვათა შორის მაგან ერთი გასაკვირველი ამბავი გვიამბო.—1872-ს წელსა, რიონის მარცხენა მხარეზედ, სოფელს ტვიშის მახლობლად დიდ და მაღალ კლდეზედ, მისი სიმამრის თხები ყოფილან საძოვრად გარეკილი. დარჩნენ თხები იქა დიდ ხანს,და მარტში თოვლი რომ დაინძრა და დენა დაიწყო იმ კლდიდამ,სამი თხა, დიდ თოვლის ზვავს ხრამში ჩიმოჰყვა და ეხლაც იქ არიანო. მაშ, მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ამ იმერელმა ის ადგილი დაგვანახა გამოღმიდამ, სულ უნაყოფო და უბალახო, ტიტველი ადგილი ყოფილა. ჰალბათ ამ თხებმა იქ ბალახიც იპოვეს და წყალიც მთელი წლის განმავლობისა, რომ იმდენს ხანს გასძლეს იქა. ჩვენ პატარა დურბინდი გვქონდა,ბინოკლს რომ ეძახიან,და იმითი ცხადათ ორი თხა დავინახეთ, და ისეთ სიშორეს არიან რომ თოფის ტყვია ვერ მიუწევს და ისეთი ადგილია,რომ კაცს ვერაფრის ღონის ძიებით იქ მისვლა არ შეუძლიან. ჯერ,ამაში გასაკვირველი არა არის რა; საქმე იმაშია რომ,ამ თხებს რაღაც ნაირი მფრინველი არა სშორდება; ზაფხულს ამ მფრინველებს თავის ბუდეებში ბალახი შეაქვთ და ახლო-მახლო პატარ-პატარა ბულულებათ ინახვენ ბალახსა საზამთროთ. ზამთარში თხა ამ ბალახით ირჩენს თავსა, და მათი განავლით კი—მფრინვლები ძღებიან; ერთიერთმანეთს ეხმარებიან საკვების შოვნაში. რა მშვენიერი ბუნების დაწყობილობაა!!? ბევრი მარწმუნებდა მე, რომ მართლაც არის

იმისთანა მფრინველი, სახელად „შურთხი“, რომელიც ჯიხვთან ცხოვრობს და არა სშორდება, რომელიც ზაფხულს ბალახს უმზადებს და მონადირე და ნადირისაგან აფრთხილებს ჯიხესა მონადირეებმა მითხრეს, რომ როდესაც ჯიხვზედ სანადიროთ მივალთო, ხოლოდ იმ ბალახის თივის ბულულებით მივაგნებთ ჯიხვის ბინასაო; და ხშირათ ეს შურთხი, როცა მონადირეებს დაინახავს, რაღაც ნაირათ დაუშტვენსო და ეს შტვენა ჯიხვს აფრთხილებს და გაგვეპარება ხოლმეო. იმისთანა მონადირეებმა მიამბეს მე ეს ამბავი, რომ იმათი სიტყვა მე, რასაკვირველია, ჭეშმარიტად მიმაჩნია.

ეს ჩვენი იმერელი კი გვიმტკიცებდა, რომ კუდიანები ინახვენ იმ სამი თხასაო; ამ კუდიანებს იმერლები „ჭინკას“ ეძახიან და მეგრელები—„ოჩიკოჩი“.

ღამე, ნიკორის-ბოლოს, რომ მივატანეთ, უცეფ შეგვაყენა რაღაცამ. რა არის? რა ამბავია? ვიკითხე რასაკვირველია. თურმე ერთ დიდ ხიდს მივადექით, დიდ-უშველებელ ხრამზედ, და ზედ შუა გზაზედ ამ ხიდის თავში გადარაზული ჭიშკარი ყოფილა; იმისთანა ჭიშკარი, შლაბჰაუმს რომ ეძახიან, მაგრამ სულ მთლად დახურული და ფიცრით აკრული ყოფილა. მე გამიკვირდა ამ შლაბჰაუმს აქ რა უნდა მეთქი. თურმე რა ყოფილა. დაბინდდება თუ არა ეს შლაბჰაუმი იკეტება კლიტეებითა, რაზებითა ისე რომ ვერაფრის ღონისძიებით მგზავრი ვერ გააღებს და ყოველთვის ხიდის მცველმა, ყარაულმა, ანუ „სტოროჯმა“, როგორც იქ ეძახიან, უნდა გაუღოს კარი მგზავრსა და გაატაროს. თურმე რა მნიშვნელობა ჰქონია ამ კარსა? რადგანაც იმერეთში ხარიპარიები და ცხენი პარიები ბევრნი არიან, და ამგვარი ქურდობაც გახშირებულია, ეს ხიდი ქურდსა გზას უჭრის. შესკუპდება თუ არა ცხენი-პარია მოპარულს ბედაურზედ, მაშინათვე გზა-გზა ლეჩხუმისაკენ გაქანდება; უცებ მიაწყდება ამ შლაბჰაუმს; რაღა ქნას? უკანთუ გამობრუნდება, მდევარს დაეტაკება, რასაკვირველია თავის ნაპარავს თავს მიანებებს და თავათ ფეხ-და-ფეხ გაძვრება ხიდზედ და წავა თავის გზით; ნაპარავი საქონელი კი აქეთკენა რჩება. ქურდი აქედგან ვერსად წავა, თუ ცხენს თავი არ მიანება; მარცხნივ საშინელი დიდი კლდეებია, მარცხვნივ საშინელი ხრამი და გიჟი რიონი. რსააკვიველია თავისი თავი მოპარულ საქონელის თავს ურჩევნია ქურდსა, და გაიპარება. ხან-და-ხან კი ისეა ეს ჭიშკარი, რომ კაცი შიგ თავს ვერ გაიძვრენს ხოლმე, და ამ შემთხვევაში სწრაფათ იჭერენ ქურდებსა. ამათ თავისი კისრის აბოლება ურჩევნიათ, თავის გადაჩეხის მაგიერად.

ამ გზაზედ, ჩვენ რომ მივდიოდით, ღამე არავინ დადის, ფრთხილობენ. ისეთი ბნელა ღამეა ამ ადგილებში, რომ თუ არ გაჭირება, ძვირად გაბედავს მგზავრი სეირნობას. ვინმე ცხენი-პარია თუ გაივლის, ან ჩვენისთანა დაგვიანებული მგზავრი. შუაღამე კარგა ხანი გადაცილებული იყო, ჩვენ რომ მივადექით ამ შლაბჰაუმსა. ბევრი ხანი ვეწვალენით და კარგა ხანს ვუძახოდით ხიდის მცველს, რომ გაეღო კარები და ჩვენ გავეტარებინეთ. გამოვიდა ბუტ-ბუტით, გამოგვკითხა ჯერ ვინა ვართ, ამ დროს რათ მოვდივართ, სად მივალთ, ცხენები ვისი გვყავს და მერე, ბოლოს, როცა დარწმუნდა რომ ჩვენ ავაზაკები არ ვიყავით, გაგვატარა და ცოტა მძიმე-მძიმე სიტყვებიც თან მოგვადევნა. ამ ხიდს რომ დავსცილდით ჩვენ ღამის დასადგომს ბინას მივადექით ნიკორის-ბოლოს დუქანში, რიონის პირზედ. შევისვენეთ თუ არა და ცოტა ვახშამიც შევკბიჩეთ, როგორც იყო ერთი პაწია ოთახში, უფრო გალიაში, დასაძინებლათ მოვთავსდით. ეს ოთახი თავისის კედლებით და ჭერით სულ სხვა და სხვა ფრის ზოლიან ჭრელ-ჭრელის ქაღალდით ყოფილა გაკრული (შპალერებითა) ისე რომ სულ თვალებსა გვჭრიდა, და ვნანობდი რომ ამ ოთახში შევედი, მაგრამ რა უნდა გვექნა, სხვა ოთახი იმ მედუქნეს არა ჰქონდა, და გარეთ დარჩენაც არ შეიძლებოდა წვიმისაგან, რომელიცა მთელ ღამესა საშინლად ჰსწვიმდა. ძილი არ მოგვდიოდა და დავიწყეთ ლაპარაკი და მუსაიფი. იქვე ერთი მგზავრი ლეჩხუმელი გავიცანით, რომელმაც გვიამბო შემდეგი ამბავი.

რიონის მარცხენა პირზედ არის დიდი-მაღალი მთა-კლდე, და იმ კლდეში დიდი გამოქვაბული

მღვიმე; იმ მღვიმეში ყოფილა კაცის ძვლები,ხუთი სიგძითა. არშინი ვითამც,რამდენიმე წლის წინათ, რუსეთიდამ ერთი მდიდარი ქალი მოსულიყოს იმ განზრახვით, რომ ამ მღვიმეში უნდა შემძვრალიყო. გააკეთებინა დიდი უშველებელი ხის კიბე და ამ კლდეზედ მიაყუდებინა. თვითონ ავიდა და იმ მღვიმიდამ გადმოუგდია რამდენიმე კაკლის ფიცრები,ძველი უშველებელი ლაფჩინები და ერთი კაცის, თეძოს ძვალი ორ არშინიანი. ეს მთხრობელი გვარწმუნებდა ჩვენ, რომ თვითონ იყო იმ ქალთან და თვითან საკუთარის თვალებით უნახავს,და მოწმათ წმინდა გიორგიც მოგვიყვანა და გრაფი რაზმორდუკი,რომელიცა იმ დროს იმ ქალთან ყოფილიყოს. ამ გრაფზედ ეს ამბავი ორჯელ მითხრეს და ალბათ მოხდა ამ გვარი რაიმე საქმე. ჩვენმა მგზავრმა, იმერელმა კი დაუმატა, რომ ვითამც ის ლაფჩინი ჩაუცვია კიდევაც,და იმ ქალსა „ისთე პაწია ფეხი ჰქონია, რომე, მისდღემში მისთანა ფეხი, აჰ, არ მინახავს; რაშუაშია, ბოვშის ფეხი, ბატონო, რომე, ხუთი იერთათ ჩევიდოდა იმე ლაფჩინშიო.“

მკათათვის 23, განთიადისას, მივატოვეთ ნიკორის-ბოლო და სადილობისას ლაილაშს მივედით; მივედით ლაილაშს, საცა ლეჩხუმის უეზდის ნაჩალნიკის ბინა არის, მიროვოი სუდი ანუ სამსჯავრო, შკოლა და ბაზარია. ერთი სიტყვით დაბა ლაილაში ლეჩხუმის პირველი ქალაქია. მთელი გზა, ნიკორის-ბოლოდამ მიყოლებული ლაი ლაშამდინ ისე კარკათ არის გაკეთებული და იმისთანა მშვენიერ ხეობაში მიკლაკნილ-მოკლაკნილია, რომ გუნებაში მიხაროდა რომ ამისთანა ხამს და მიუკარებელს ადგილებში, ისე მშვენიერად გაპლანური ყოფილა და სულ შოსსეთ დაგებული. ლაილაშს რომ მივედით, მშვენიერ ქვით-კირის სასოფლო შკოლის შენობაში დაგვაბინავეს. ეს შენობა ახლად იყო აშენებული, რომელშიაც ლაილაშის სასწავლებელი ყოფილა გახსნილი, საცა როგორათაც თავადთა და აზნაურთა შვილები სწავლობენ, აგრეთვე გლეხობის შვილებიცა. ამ დროს მოწაფეები თავ-თავის სახლებში იყვნენ საზაფხულოდ გასტუმრებულნი; და რადგანაც ლაილასში სხვა თავისუფალი შენობა არ იყო ამ დროს თავის სტუმრებისათვის, ამიტომაც ბინათ ჩვენ ეს შკოლის შენობა მოგვცეს. მინდა გამეგო როგორმე ამ შკოლის ამბავი და აღმეწერა კიდეც, მაგრამ ჩემს საუბედუროთ თვითან შკოლის მასწავლებელიც იმ დროს, სხვაგან ყოფილიყო, ასე რომ, გარდა ამისა რომ ეს შკოლის შენობა აშენდა ლეჩხუმის თავად-აზნაურთა შემწეობით, და არის გრძელი ქვითკირი, რვა თუ ცხრა თვალი ოთახი აქვს,კლასსები და ყოველის ფერი კარგათ და ჩინებულათ არის გამართული და მასწავლებელიც ქართველი კაციც ყოფილა, მე სხვას ვეღარას ფერს მოგახსენებთ; და კიდევ იმას, რომ ამ შკოლაში ორმოცი თუ ორმოცდა ათი ყმაწვილი სწავლობსო. ჩვენს ბინაზე როგორც მივედით თუ არა,იმ წამსვე ლაილაშის მბრძანებელმა ვალად იცნეს ჩვენი ამბის შეტყობა და მოკითხვის გამოგზავნა,თუ როგორ მშვიდობით მოვიარეთ ქუთაისიდამ.

უნდა ვსთქვა,რომ ქუთაისსა და ლაილაშს შუა ცხენით სასიარულოგზა-მშვენიერია; და ამ დროს დიდი მუშა ადგა იმ გზის გასაგანიერებლად, ეკიპაჟების სასიარულოდ. მითხრეს კიდეც, რომ ვითამც შოფტის ცხენების დაყენებასაც აპირებენო.*) ქუთაისიდამ დაბა ლაილაშს მიმავალ კაცსა ან საკუთარი ცხენი უნდა ჰყავდეს ანარა და ბეგრის ცხენით უნდა იაროს. მე ძალიან მომეწონა ქუთაისისა და ლეჩხუმის უეზდების ნაჩალნიკების დაწყობილობა; არა თუ ამ ორის უეზდის უმფროსებისა,აგრეთვე დანარჩენის უეზდებისაც. საქმე იმაშია რომ, ყოველს სამამასახლისოში, რომელიც შეიცავს 6 ან 10 სოფელს,მამასახლისის სოფელში ფოშტები არის გამართული სოფლელის ხალხის ხარჯით,ესე იგი სოფლის უპრავლენიაში,კანცელარიაში ხუთი ან ექვსი საჯდომი ცხენი მგზავრისათვის მზათ არის, ხანდისხან მეტიც. რომელიმე გლეხ-კაცს იჯარით აქვს აღებული ამ გვარი ფოშტის ცხენები; ხუთი, ექვსი,ან რვა ცხენი უსათუოთ უნდა ჰყავდეს,და რასაკვირველია უმეტესად ან უბელო ცხენებია,ან მარტო კეხებიანი; და სოფლების საზოგადოება თითო ცხენზე ამ მოიჯარადრეს წელიწადში

*) ჯერაც აჩ დაუყენებიათ, თუმცა მას შემდეგ რაც მე იქ ვიყავი ეს მეოთხე წელიწადი მიჩბის; მაგრამ ისიც კარგი რომ „აბიჩებენ“ და ხალხს იმედს აძლევენ.

ექვს ექვს თუმან ფულს აძლევს. ამ კაცმა ყოველს მგზავრს რომელსაც „პადაროჟნა“ აქვს, ანუ რუსულად. უნდა მიართვას ცხენები და მგზავრმა თითო ვერსტზედ და ცხენზედ უნდა მისცეს ხოლმე სამ-სამი კაპეიკი, პრაგონი. ეს კაციც, რომელსაც იქ ეძახიან „ფოშტას,“ თავის ცხენებს უნდა გაჰყვეს ხოლმე, მეორე „ფოშტის სტანციამდინ“ როგორც იქ ასახელებენ; და აქა, ამ გვარათვე ცხენებსა სცვლიან და მგზავრი დაუბრკოლებლად მიდის. მაგრამ უნაგირები კი ან საკუთარი უნდა ჰქონდეს მგზავრსა ან არა და უბრალო კეხზედ უნდა შეჯდეს. ხანდის ხან ამისთანა სტანციებს შუა ხან ხუთი ვერსტია და ხან ოცდა ხუთი და ორმოციც—ეს სოფლის კანცელარიაზე ჰკიდია. რა სიშორეზედ კანცელარია არის, „ფოშტაც“ იქ ყოფილა. ამ გვარად, ჩვენ ქ. ქუთაისიდამ მოიჯარადრის ცხენებით, რომელიც თავს ისახელებს „ფოშტა ვარ“, მივედით ჩვენ ქუთაისის უეზდის, სოფელს მექვენას. აქა კარგა ხანს შეგვაჩერეს, ცხენებს იჭერდნენ სათივეებში; მოგვიყვანეს ახალი ცხენები, პრაგონიც ჩაიგდო ჯიბეში „ფოშტამ“ და მიგვიყვანა სოფელს ნიკორის-ბოლოს, საცა „ფოშტა“ არ ყოფილა თურმე და მეორე დღეს იმავე მექვენას ცხენებმა ლაილაშს აგვიყვანეს ასე, რომ ქუთაისიდამ ლაილაშამდინ 80 ვერსტია და მხოლოდ ერთხელა ჰსცვლიან ცხენებს, მექვენასა. ახლა ამ ცხენებსა, უკან რომ დაბრუნდებიან, კიდევ მოჰყავთ მგზავრი, და პრაგონსაც მეორეთ იღებენ. მე მგონია, რომ ამისთანა დაწყობილობა, რომ ჩვენს გორის უეზდშიაც შემოიღონ, ოროგი არ იქნებოდა; მაგრამ ჩვენს საუბედუროთ ჩვენი ნაჩალნიკები არ ყოფილანთურმე ქუთათურებზედ გამჭრიახი ხალხი, თორემ ჩვენშიაც შემოიღებდნენ ამ გვარ შემსუბუქებულს მგზავრობას.

დაბა ლაილასში მდებარეობს მაღალ მთაზედ; ამასაც ლაილაიშის მთას ეძახიან; უმეტესი კი ამბობს რომ მთა-ლაილა ჰქვიანო. ლაილაშს მშვენიერი გადასახედი აქვს, ლეჩხუმს გადაჰყურებს; დაბასა დიდი ყაბახი აქვს და ამ ყაბახზედ ჩინებულ ბაღს ჰმართვენ და ამ ბაღიდამ ლეჩხუმის სოფლები მოჩანან ორმოცამდინ, მოჩანს ის მშვენიერი გზა რომლითაც ჩვენ მივედით, და რომელიც მთა-ლაილას გარს უვლის და ეკლაკნება, იმ გვარად როგორც დიდი შოსსეს გზა სურამის მთაზედ. ამ ბაღიდამ კარგათა სჩანს მდინარე ლაჯანურა, რომელიც მთა-ლაილას ქვეშ მიმდინარობს და რიონს მარჯვენა მხარეს ერთვის. ნიკორის ბოლოს ათ ვერსტს, რომ გადმოვსცილდით, საცა ლაჯანურა რიონს ერთვის, რიონის წყლის პირი მივატოვეთ და ლაჯანურის წყლის პირის გზას დავადექით, რომელიც ათ ალაგას ლამაზი ქვითკირის და ხის ხიდებზე გადადის წყალსა. თვითან ლაილაში კი ძალიან მაღლა მდებარებს ამ ლაჯანურაზედ, ასე რომ დაბაში წყაროს წყალსა სმენ, და წყალიც მშვენიერი და გემოვიანი და მარგებელი ყოფილა. კარგა-ძალი შენობა არის ლაილასში; ბევრი თითო ეტაჟიანი ქვითკირის სახლები ყოფილა, უთვალავი დუქნები, ზოგი ხისა და უმეტესი ქვითკირისა, და სულ ურიებისა ყოფილა. დაბას მცხოვრები უმეტესი ურიები არიან. დაბასლეჩხუმის უეზდის ნაჩალნიკის სახლია თავის უპრავლენიით; სამსჯავრო სუდი, ეტაპის სახლი, სასოფლო მაღაზია, შკოლა, ეკკლესია, ურიების სალოცავი თორა, მათი შკოლა და ბაზარი. თითქმის ქალაქი ყოფილა! *).

23-ს მკათათვიდამ 29-ს რიცხვამდის ჩვენ ლაილასში დავრჩით, რადგანაც მე თვით ლაილასში მქონდა საჭირო საქმე და აგრეთვე ლეჩხუმის უეზდშიაც, და ამ ექვს დღეში ჩვენ ნელ-ნელა ცოტ-ცოტათი თავისუფლად-სვანეთისაკენ გამგზავრებისათვის ვემზადებოდით. სვანეთისაკენ გამგზავრება ცოტათი გვამძიმებდა და გვაბრკოლებდა მითი რომ, რა ხანსაც მგზავრობას მოუნდებოდით დარახანიც სვანეთში ყოფნასაც მოუნდებოდით ჩვენა ყოველ ნაირი ჩვენი სარჩენი, ხარჯი, ხორაგი თან უნდა წაგვეღო და საკუთარი ცხენები უნდა გვყოლოდა და ან უნდა გვექირავნა; და ეს უფრო გვაბრკოლებდა, იმიტომ რომ ძრიელ იშვიათათ ბედვენ

---

*) გასაკვირველი ეს არის რომ ამ დაბას სრულიად თავი მიუნებებია, და ლეჩხუმის უეზდის ნაჩალნიკის უპრავლენია მდინარე ლაჯანურაზედ გადუტანიათ დაბლობში, საცა იმისთანა ცეება არის, რომ ქათამსაც კი აცივებს. კარგისა კარგზედ გამოცალა კადეე ჰო! მაგრამ კარგი აეზედ—უმეცრებაა და.....;

ლეჩხუმლები თავისის ცხენების მიქირავებას სვანეთის მოგზაურობისათვის; და ისიც, რომ სვანები თურმე არასდროს და არას გზით თავის ცხენებს, ვისაცა ჰყავს, მგზავრებს არ აძლევენ და ვერაფრის ფულით სვანეთში მგზავრი ცხენს ვერ იქირავებს. ამისი მიზეზები სულ დაწვრილებით ქვემოთ იქნება მოხსენებული. მაგრამ როგორც იყო, ჩვენ ექვსის კვირის სამყოფი ყოველისფერი მოვიმზადეთ, და ცხენებიც ვიქირავეთ; ოთხი ცხენი, დღეში ექვს აბაზად ლეჩხუმელ-კაცისაგან, რომელიც თვითან გამოვგყვა ფეხით, და ხან და ხან კი ჩვენ ბარგზედ ზევიდამ დააჯდებოდა, თუმცა კი მისივე ცხენს კარგათ უმძიმდა.

30-ს მკათათვეს, გათენებისას ლაილაშიდამ გავედით და სვანეთის გზას დავადექით, ჩვენ ვიყავით—ცხრანი, და გვყვანდა თოთხმეტი ცხენი, ზოგი ბარგს ქვეშ, ხორაგსა და ხარჯს ქვეშ, და ზოგზედ ჩვენ ცხრანი ვისხედით. უწინდელის ქუთაისის ღუბერნატორის ბრძანებით ჩვენთან უნდა წამოსულიყვნენ სვანეთის პოლიციის პრისტავი თავადი ზაქარია ჯორჯაძე, თავისი მთარგმნელითა (პერევოდჩიკითა), ბაქრაძე, ლეჩხუმის უეზდის ნაჩალნიკის ბრძანებით, გამოგვყვა მილიციის პრაპორსჩიკი სამთელაძე და დანარჩენნი იყვნენ ჯორჯაძის ჩაფრები. სუყველა ეს პირები ჩვენ ლაილასში დაგვიხდნენ სულ მთლად მომზადებული ამ მგზავრობისათვის, რომელთაც წინათვე მისვლიათ მოწერილობა ქუთაისიდამ ამ მგზავრობის თაობაზედ. ერთს საათს შემდეგ, მთა-ლაილას დიდ თავდაღმართს დავეშვით და ლაჯანურის ფონს გავსცილდით *). ამ გზაზედ გავიარეთ ლამაზი სოფლები: გუ, ლაჯანა, ახალ-ჭალა, ორბელი, და ჭყუტერი. ეს სოფლები მდებარებენ მთა ლაილას პირდაპირ მთის ქედზედ ლაჯანურის მარჯვენა მხარეს. ამ სოფლებზე მიდის კარგი გზა, თუმცა ძალიანვიწრო, ასე, ორი ცხენოსანი ძლივს დაეტევა, მაგრამ სულ შოსსეთ დაგებული, და ეს გზა სჭრის ჩინებულ ტყეს, მუხის, კაკლის, იფნის და წიფლისას, და ამ უმრავლეს ხეებზედ ეკვრის სხვილ-სხვილი ვაზი, მაღლნარი, და ეს გზა სვანეთის ვიწროებამდის მიდის და იქ თავდება, და სჭრის მთებს, ხეობებს ღელეებს, ხევებს და ხრამებს. სოფ. ჭყუტერს ცოტათი შევისვენეთ, და გავსწიეთ; ორი საათის სავალის შემდეგ მივედით სოფ. მურს, ლეჩხუმის უეზდის უკანასკნელ სოფელს, სვანეთის სამძღვარზედ.

*) ეხლა ამ ალაგზედ არის აშენებული ახალი უეზდის ნაჩალნიკის უბრაკლენია, სამჯავრო და სხვა, ე. ი. ლაილაში აქ არის გადმოტანილი.

კოტე სანინელი

(შემდეგი იქნება)

ბრძოლა რომის დასაპყროგლად

(ნემენცური თხზულება რუსულიდამ თარგმნილი, Sin Kampf um Rom, von Dobn. 1876)

I

სტამბოლი.

სტამბოლში იმპერატორის სასახლის ერთ-ერთს ოთახში ფეხზედ იდგა ერთი ვერაფრად გამოსაჩენი ტანად — მომცრო კაცი. იგი იყო ღრმად ჩაფიქრებული. მის გარეშემო სრულიადი დუმილი სუფევდა. ჯერ თუმცა დღეს ბინდი არ მორეოდა, მაგრამ ფანჯარას, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა, ჩამოფარებული ჰქონდა მძიმე ოქროს ქსოვილი ხალი. ამ გვარივე ხალი ეშალა ჩუქურთმით ნაკეთს იატაკზედ.

ოქროს ვარაყიანს კედლებზედ ჩამორიგებული იყო ლუსკუმები ყველა ქრისტეს მორწმუნე იმპერატორებისა კონსანტინედამ დაწყებილი. ტახტს ზემოდ ესვენა დიდი, კაცის ტანის სიმაღლე ჯვარი ხალასი ოქროსი; ჯვარს შუაგულში ჰქონდა ჩატანებული ნაჭერი ვითომ იმ ჯვარისა, რომელზედაც ჯვართ-აცვეს იესო ქრისტე.

რამდენჯერაც ტანად-მომცრო კაცი გაივლიდა ჯვრისაკენ, იმდენჯერ თავს მოუხრიდა ხოლმე თაყვანების ნიშნად. ბოლოს შედგა რომის სამფლობელო ქარტის წინაშე, რომელიც კედელზედ ეკიდა. დიდხანს უყურა ამ ქარტას, ბოლოს ამოიოხრა და ორივე ხელი მიიფარა თვალებსა და სახეზედა.

მას არ უვარგოდა არც თვალები და არც სახე; მაგრამ ერთიც და მეორეც ბევრს რასმეს გამომეტყველობდა, ავსაცა და კარგსაცა. სიფრთხილე, მიუნდობლობდა, მელაძუობა, გამოჰკრთოდა მის მოუსვენარსა და ჩამომძვრალს თვალებში. ღრმა ნაკეცი, უფრო მზრუნველობისაგან ვიდრე ხნიერობისაგან, ეჩნეოდა მის წინ გამოშვერილს შუბლსა და გამხდარს ლოყებსა.

„ვინ იცის რით გათავდება!“ ამოიკვნესა მან და შეიკუმშა გაჭნავებული ხელები. „მე გული მითხრობს, რაღაც ცხოველი სული მიწვევს და მიწვევს. ვინ იცის? იგი ანგელოზია თუ სატანა? ვინ ამისხნის მე ჩემს სიზმრებსა? მომიტევე, ერთარსო ღმერთო, მომიტევე ერთგულსა მონასა შენსა.... მე თანამდებ ვარ, გავბედო, თუ არა?“

კვლავ მოჰყვა ოთახში წინა და უკან ბოლთის ცემასა. ხოლო ნელიად აიხადა მეწამული ფარდა კარებისა. მხლებელი ოქრომკედით ნაკერის ტანისამოსით შემოვიდა, დაეცა მუხლებზედ ტანად-მომცრო კაცის წინაშე და დაიკრიფა რა გულზედ ხელნი მოახსენა:

— იმპერატორო! შენგან დაბარებულნი დიდებულნი გიახლნენ.

— მოითმინონ, უპასუხა იუსტინიანმა და ჩამოჯდა სპილოს ძვლისა და ოქროს სელზედა: მომართვი მე ვერცხლის წუღები და ქლამიდა.

მხლებელმა მოართვა და ჩააცვა წუღები მაღალ ქუსლებიანი, რომლის გამოც ეს პატარა კაცი ერთს გოჯზედ ამაღლდა; მხრებზედ წამოასხა ოქროს ვარსკლავებით მოფენილი წამოსასხამი. რა ნივთსაც ხელში აიღებდა, მხლებელი ჯერ ემთხვევოდა და მერე მიართმევდა. როცა მხლებელმა თვისი სამსახური შეასრულა, ისევ, აზიელთა ჩვეულებისა მებრ, მუხლი მოუყარა იუსტინიანეს და შემდეგ ადგა და გარედ გავიდა.

იმპერატორი იუსტინიანე მარცხენას ხელით დაეყრდო სვეტის ნაჭერზედ, რომელიც იერუსალიმის ტაძრიდამ იყომოტანილი; გაიმართა ტანში როგორც ჩვეულება ჰქონდა როცა ვისმე ინახულებდა და გაჩერდა შემოსავლის კარის პირ-და-პირ.

ფარდა გადიწია. ოთახში შემოვიდა სამი კაცი. ამათაც როგორც მხლებელმა, მუხლი მოუყარეს იუსტინიანეს. ესენი იყვნენ უპირველესნი დიდებულნი იმპერიისა.

იუსტინიანემ თავიც არ მოუხარა სალამის გადასახდელად და უთხრა:

— ჩვენ მოგიწვიეთ თქვენ იმისათვის, რომ გკითხოთ რჩევა იტალიის შესახებ. თქვენ ხომ გასინჯეთ კიდეც ყველა სიგელები: წერილი დროებით მმართველის ქალისა და ოქმები მამულის-მოყვარეთა. თქვენ სამი დღე გქონდათ ჩემგან მოცემული, რომ მოგეფიქრათ. ჰსთქვი პირველმან შენ, სარდალო მხედრობისაო!

ეს ჰსთქვა და შეხედა ამ სამში ერთს, რომლის დიდებული, წამოსადეგი და მშვენიერი სანახაობა აღმოაჩენდა, რომ ნამდვილი გმირია. იგი იყო შეჭურვილი საომარის ძვირფასის იარაღითა. მისი ცის-ფერი თვალნი, დოდრონი და ქორულებ მჭვრეტელნი, სავსე იყვნენ სითამამითა და ნდობითა, სწორე ცხვირი, სავსე ლოყები მის სახეს ჯანმრთელობის ფერსა ჰსდებდა, განიერი გულ-მკერდი, ჰერკულესის მხარ-ბეჭი მის ღონეს მოუთხრობდა; გარნა ბაგესა მისსა, გარემოცულსა რგვლად შეკრეჭილის წვერითა, ეტყობოდა გულ-ბილობა და კეთილ-სულობა.

—ხელმწიფეო, უპასუხა მან მტკიცე და რიხიანის ხმითა: ბელიზარიის რჩევა ყოველთვის ერთი და იგივეა: თავს დავეცნეთ ბარბაროზთა. ჯერ რა ხანია მას აქედ რაც, შენის ბრძანებით, მტვრად აღვგავე აფრიკაში ვანდალნი 15,000 კაცითა. მიბოძე მე 30,000 კაცი და ფერხთა წინაშე გაგიგორებ გოთთა გვირგვინსა.

— ძალიან კარგი, მიუგო მხიარულად იმპერატორმა: მე მიამა და მომწონს შენი სიტყვა. შენ რაღას იტყვი, ტრიბონიანო, ჩემთა რჯულის მცოდნეთა შორის უპირველესო თვალო.

ეს სიტყვები მიჰმართა მაღალს კაცსა, რომელსაც კარგად გახსნილი შუბლი ჰქონდა, მშვიდობიანი თვალნი, სიმტკიცით მოჭედილი ბაგე. მთელს მის სანახაობას ედვა ბეჭედი ჭკვისა ძლიერისა და მორჭმულისა.

— ხელმწიფეო, უპასუხა მან მშვიდობიანის ხმითა, აუჩქარებლად: მე გაფრთხილებ, მოერიდე მაგ ომსა. ომი ეგე უსამართლოა.

— უსამართლოა! შეჰყვირა იუსტინიანმა გულნაწყენად: მაშ უსამართლოა დავიბრუნოთ ის, რაც რომის იმპერიას ეკუთვნოდა!

— ეკუთნოდა! შენმა წინაპარმა ზენონმა შეკრულობის ოქმით გადაჰსცა დასავლეთი თეოდორიხს და გოთებს მას შემდეგ, როცა მათ ძირს დაჰსცეს ამაყი და ზვიადი ოდოაქრი.

— თეოდორიხი უნდა ყოფილიყო იმპერატორის მოადგილედ და არა იტალიის კოროლად.

— ვჰსთქვათ რომ ეგრეა. გარნა როცა კოროლად გახდა, მაშინ იმპერატორმა ანასტასიმ იგი კოროლად აღიარა, კოროლადვე აღიარა მერედ ბიძა შენმა იუსტინმაც და თვით შენცა.

— მართალია, ხოლო ეგ გაჭირების გამო მოხდა. ამ ჟამად კი იგია გაჭირებული და მე ვარ ძლიერი... მე მსურს ჩემგან აღიარებული ეხლა უკუ-ვჰსთქვა.

—აი სწორედ მაგას ვჰსთვლი მე უსამართლობად.

—შენ, ჩემო ტრიბონიანო, სწორედ მოუნელებელი ხარ, შენ თავის დღეში არ გადაკეთდები. შენ უჯიათი და ჯიუტი მეკანონე კაცი ხარ და თუ გამოდგები რაშიმე ისევ კანონების დაწერაში თუ. ხოლო პოლიტიკაში მე ამას იქით შენ აღარ დაგეკითხები. აბა ერთი მითხარ, რა საქმე აქვთ ურთიერთ შორის სიმართლეს და პოლიტიკასა.

— სიმართლე, ჰოი იუსტინიანე, უკეთესი პოლიტიკაა.

— ნუ თუ? ალესანდრეს და ცეზარსა ეგ აგრე არ ჰქონიათ მიღებული.

— და ამიტომაც, პირველი რომ ვერ დაასრულეს მათ თავისი საქმე, და მეორე... ტრიბონიანმა სიტყვა შეჰსწყვიტა.

— ჰა, ჰსთქვი მეორე რაღა?

— მეორე ისა რომ შენ არც ცეზარი ხარ და არც ალექსანდრე.

ყველანი ჩაჩუმდნენ. რამოდენიმე ხანის შემდეგ იმპერატორმა გულდამშვიდებით ჰსთქვა: შენ, ტრიბონიან, ძალიან გულ ახდილად ლაპარაკობ.

— როგორც ყოველთვის, ხელმწიფეო.

იუსტინიანნი მარდად მიტრიალდა და უთხრა მესამე დიდებულსა:

— შენ როგორღა ფიქრობ, ნარზეს?

ის ცივი ღიმილი, რომელიც მოუვიდა ნარზეს ტრიბონიანის სიტყვებზედა, სწრაფად განუქრა.

ეს იყო მახინჯი კაცი, ტანად იუსტინიანეზედ უფრო დაბალი. იგი იყო მელოტი, ლოყები სნეულსავით ჩაჰყვითლებოდა, მარჯვენა მხარი მარცხენაზედ მაღალი ჰქონდა, ცოტად კოჭლობდა კიდეც მარცხენა ფეხზედ და ამის გამო ოქროს თავიანს ყავარჯენზედ იყო დანდობილი.

მაგრამ ისარსავით განმაპობელს მის თვალთა მხედველობაში იმოდენა კეთილშობილება გამოჰკრთობა, რომ მისი სიმახინჯე კაცს ავიწყდებოდა. მისი თვალთა მხედველობა ჰსდებდა თითქმის საზარელს მის პირის სახეს რაღაც დიდების ნიშანსა და სნეულებრივი სახის მეტყველება, გამომთქმელი მორჩილებისა და უპირატობისა, მის თვალადობას თითქმის მიმზიდველობას აძლევდა.

— ხელმწიფეო, მიუგო მან მტკიცე ხმითა: მე არ გირჩევ ომი დაიწყო——ამ ჟამად.

იუსტინიანის თვალებში გაიელა უკმაყოფილებამ.

— შენც ხომ სიმართლის მიხედვით არ ამბობ მაგასა? ჰკითხა დაცინებით იმპერატორმა.

— მე ვჰსთქვი: ამ ჟამად მეთქმი.

— ვითომ რატომაო?

— იმიტომ-რომ საამურსა წინ უნდა ასწროს რაც საჭიროა. ვისაც უჭირს თვისის სახლის დაცვა, იგი არ უნდა ეტანებოდეს სხვისასა.

— მაგითი რა გინდა ჰსთქვა?

— ის მინდა ვჰსთქვა, რომ დასავლეთიდამ გოთთაგან ჩვენს სახელმწიფოს არა ვითარი შიში არა აქვს. მტერი, რომელსაც შეუძლიან ჩვენის სახელწიფოს განადგურება, აღმოსავლეთისაკენ არის.

— სპარსნი რაღა! მძულვარებით წარმოსთქვა იუსტინიანემ.

— როდის აქედ, ჰსთქვა ბელიზარიმ, ნარზეს, ჩემს დიდს მეტოქეს სპარსთა შიში მიჰსცემია?

— ნარზეს არა ვისი შიში არა აქვს, მიუგო მან ისე, რომ თვის მოპირდაპირეს არც კი შეხედა: ნარზეს არ ეშინიან არც სპარსელებისა, რომელნიც დაუმარცხებია და არც შენი, რომელიც მათ დაამარცხეს. ხოლომე კარგად ვიცი აღმოსავლეთის ვითარება. თუ სპარსნი არა, სხვანი მოგვესევიან. განსაცდელი, მომავალი ბიზანტიაზედ, ტიგრიდამ მოდის და არა ტიბრიდამ. შენთვის, ხელმწიფეო, რომაელთა სახელისათვის, რომელსაც ჩვენ კიდევ ვატარებთ, სამარცხვინოა, რომ ყოველს წელიწადს ხოსროისაგან მშვიდობიანობას ვყიდულოთ ოქროს ძლევითა.

იუსტინიანეს სიწითლემ გადაჰკრა პირის სახეზედ.

— მაგ რიგად როგორ ჰსთარგმნი საჩუქარს რომელსაც ჩვენ მას ვუგზავნით?

— საჩუქარს! აბა ერთი კვირა დაუგვიანდეს, თუ ხოზროიმ არ გადაბუგოს შენი სოფლები...

იუსტინიანემ დაიწყო აღელვებით სიარული ოთახში.

— მაშ შენ რას მირჩევ? ჰკითხა მან ნარზესსა და გაჩერდა მის წინ.

— ჰქმენ ჯერ ის, რაც საჭიროა. მე კი ვშიშობ, რომ შენ ამას ვერ შეჰსძლებ, — და თუ ეგრეა, გასწი იქით, საითკენაც წაგიტყუებს შენ დიდება და სახელი.

იუსტინიანემა თავი გაიქნივა.

— შენ ვერაფრად მასიამოვნებ ხოლმე, ნარზეს, უთხრა მან სიმწარით.

— ეგ მე დიდი ხანია ვიცი, მიუგო გულდინჯად ნარზესმა.

— მაშ უშენობა აღარ იქნება! დაიძახა ამაყად ბელიზარიმ. მაგ პატარა უჯერო კაცსა ნუღარ დაეკითხები, დიდო ხელმწიფეო. მომეც მე ოცდა ათი ათასი კაცი და ჩემს მარჯვენას თავდებად გაძლევ, რომ იტალიას დავიპყრობ.

— მე კი, ჰსთქვა, ნარზესმა, თავდებად ვჰსდებ უფრო მომეტებულს, სახელდობრ ჩემს თავსა, რომ ბელიზარი ვერ დაიპყრობს იტალიას ვერც ოცდა ათი ათასის კაცითა, ვერც სამოცი ათასითა და ვერც ასი ათასითა.

— მაშ ვინ შეჰსძლებს იტალიის დაპყრობასა და რამოდენის ძალითა? იკითხა იმპერატორმა.

— მე, უპასუხა ნარზესმა, ოთხმოცი ათასის კაცითა.

ბელიზარი ცეცხლსავით აინთო, მაგრამ ვეღარა ჰსთქვა რა, რადგანაც სიტყვა ვერ იხერხა.

— თუმცა შენ შენი თავი ყოველთვის დიდად მიგაჩნდა, მაგრამ შენ თავის დღეში შენს მეტოქეზედ ეგრე მაღლა არ აგიწევია თავი,

როგორც დღეს,—უთხრა ტრიბონიანმა.

— მე არც ჟამად ამაქვს ჩემი თავი მაგაზედ მაღლა, ტრიბონიანო. გასინჯე, რაშია ჩვენ შორის განსხვავება: ბელიზარი დიდი გმირია და მე კი დიდი ლაშქართ-მძღვანი სარდალი ვარ. გოთთა ააოტებს მხოლოდ დიდი სარდალი.

ბელიზარი ამაყად გაიმართა წელში და თრთოლით ხელი წაავლო ხმალსა. ამასთან მან ის სანახაობა მიიღო, თითქო ამ მახინჯის გასრესას ჰლამისო. მაგრამ იმპერატორი შუა ჩამოუდგა:

— ბელიზარი დიდი სარდალი არ არისო! შენ, ნარზეს, შური გიბამს თვალებსა.

— მე ბელიზარისა არა მშურს რა, არა მშურს თვით მისი—აქ ნარზესმა ნელა ამოიოხრა,—ჯანის სიმრთელეცა. ბელიზარი იქმნებოდა დიდი სარდალი, რომ ეგეთი დიდი გმირი არ იყოს. ყველგან საცა კი მაგას ომი წაუგია, მარტო იმის გამო წაუგია, რომ გარდამეტებული გმირია.

— დარწმუნებული ვარ, რომ შენზედ მაგასვე ვერ იტყვიან, ჩაუმატა სიტყვა ბელიზარიმ ნარზესის საწყენად.

— დიაღ ბელიზარი, ვერ იტყვიან, იმიტომ რომ მე ჯერ თავის დღეში ომი არ წამიგია.

ბელიზარი მოუთმენელობით შეტოკდა, მაგრამ ამ დროს მხლებელი შემოვიდა და აუწყა, რომ იუსტინიანესაგან რავენნაში გაგზავნილი დესპანი მოვიდა.

— ეხლავ აქ უხმე, ეხლავ, დაიძახა იუსტინიანემ და სკამიდამ ფეხზედ წამოდგა.

— რაო, ალექსანდრევ, მარტო დაბრუნდი? ჰკითხა იუსტინიანემ დესპანს მის შემოსვლის უმალ და ამასთანავე მოუთმენელად ხელით ანიშნა, რომ ფეხზედ წამომდგარიყო, რადგანაც ჩვეულებისამებრ დესპანმა მუხლი მოუყარა.

— მარტო, უპასუხა მოხდენილმა. ახალგაზრდა დესპანმა.

— როგორ მიდის იტალიის საქმე?

— შენთვის ძალიან კარგად, ხელმწიფეო. გოთთა რავენნაში აჯანყების ხმა და მმართველის ქალის ამალასვინტის გაქცევა ბიზანტიისკენ გავარდა მთელს იტალიაში. რამდენჯერმე საომრად შეხვდნენ გოთნი და რომაელნი ერთმანეთსა. თვითონ რომში ქვეყნის-მოყვარეთა უნდოდათ მონაწილეობა მიეღოთ საქმეში, განიზრახეს დიქტატორის ამორჩევა სენატში და შენი მოწვევა საშველად. მაგრამ ყოველივე ეს უდროო იყო და შეთქმულთა გენიოსმა მოთავემ შეთქმულნი ჯერჯერობით შეაჩერა.

— რომის პრეფექტმა განა? იკითხა იუსტინიანემ.

— დიაღ, პრეფექტმა ცეტეგ. შეთქმულთ უნდოდათ გოთებზედ თავ-დასხმა, შენი იმპერატორად აღიარება და ცეტეგის დიქტატორად ამორჩევა. მაგრამ ცეტეგმა გულს ხანჯალი დაიბჯინა და... უარი ჰყო.

— გულადი კაცია, წამოიძახა ბელიზარიმ.

— გასაფრთხილებელი კაცია, ჰსთქვა ნარზესმა.

— წაიკითხე წიგნი მმართველის-ქალის ამალასვინტისა, განაგრძო დესპანმა, მიაწოდა რა იმპერატორსა მთელი ერთი ბოხჩა წერილებისა:— მე მგონია, რომ ამ წიგნებში ღირს შესანიშნავი ცნობებია.

იუსტინიანემ გაჰსჭრა წითელი ზონარი წმინდა სანთლით დაკრულის ფირფიტებისა და დაიწყო წერილის კითხვა. წერილი ამით იწყობოდა: „იუსტინიანეს, რომაელთა იმპერატორს, ამალასვინტა მეფა გოთთა და იტალიელთა.

— რაო? მეფა იტალიელთაო! გაიცინა იუსტინიანემ,—რა უგუნური სახელი მიუღია!

წაიკითხა თუ არა წერილი, ფირფიტები ხელში თრთოლით შეკუმშა; თვალნი გაუბრწყინდნენ და წინ მიიმართნენ, მის უმარილო პირის-სახეზედ გამოიხატა კეთილშობილება, ძლიერი ძალი ჭკუისა, და ამ წუთს შესაძლო იყო კაცს დაეჯერა, რომ ამ პატარა კაცში, რომელშიაც იპოვებოდა აუარებელი ნაკლი და წვრილმანობა, არის ღონეცა, დიდი ღონე: დიპლომატიურის გენიოსობისა!

— ამ წერილით, ჰსთქვა მან ბოლოს და თვალმაც გაუელვა,—მე ხელთ მიპყრია იტალია და გოთთა სამეფო.

ჰსთქვა ესა და დაიწყო ისევ ოთახში სიარული; ამ ჟამად ჯვარს რომ გაუარა, თავის მოხრა აღარ მოჰგონებია.

— მცველნიო, მცველთ გაუგზავნი! ორი ათასს კი არა, რამდენსამე ათასსა, იმაზედ მეტს რაც თვითონ სურდა. შენ, ბელიზარი, წინ გაუძღვები მათ!

— აჰა ძღვენიცა! ჰსთქვა ალექსანდრემ, და მიართვა იმპერატორს მშვნიერი ყუთი ძვირფასის ხისა, ოქროთ მოჭედილი:—აი გასაღებიც. აქ მისის სახის სურათია.

ამ დროს ფარდიდამ უჩუმარად და სხვისგან უჩინოდ გამოჰყო თავი ქალმა და ორი ელვით სავსე შავი თვალი იმპერატორს მიაპყრო ასე, რომ ვერავინ იქ მდგომმა ის ქალი ვერ დაინახა.

იუსტინიანემ სწრაფად მიაგდო გვერდზედ თვალ-მარგალიტი, მიჰსწვდა ერთს ძვირფასს ბუდეს და ამოიღო მუნით პატარა ფირფიტა მშვენიერად გაწმენდილის ხისა, რომელსაც ოთხკუთხივ ოქროს ჩარჩო ჰქონდა გაკეთებული. აღტაცების ხმა მოისმა მისის გულიდამ; თვალნი აუპრიალდნენ. იუსტინიანემ ის ფირფიტა მიაწოდა ბელიზარის და უთხრა:

— რა დიდებულის სახის ქალია! ეს სწორედ ნამდვილი მეფაა, კოროლის ასული—და იუსტინიანე აღტაცებით დაჰყურებდა მშვენიერს სახეს გოთთა დედუფლისას.

მაშინ კი ფარდა შრიალით აიხადა და ოთახში შემოვიდა თეოდორა, იუსტინიანეს ცოლი. იგი იყო გონების მიმტაცი მანდილოსანი თავისის სიტურფითა.

რაც კი მანამდე მოეგონა ქალთა მახვილგონიერებას, რაც კი სახელმწიფოს ღონისძიება ჰქონდა,—იგი ყოველსავე ხმარობდა ყოველ დღეს, რომ დაეცვა სრულის ბრწყინვალებით და სიუხვით თვისი გამოჩენილი სიტურფე, რომელიც თავდაუჭერელის ქცევისაგამო ადრეულად ჭკნობაში შესულიყო.

ყორნის ბოლოსათვის შავი თმა მისი ბრწყინავდა ოქროს ფრად, რადგანაც ოქროს მტვერი ჰქონდა თმაზედ მოყრილი; თმა უკან ჰქონდა დაბლად გადავარცხნილი, რომ ლამაზი მოყვანილობა თავისა და ყელისა კარგად გამოჩენილიყო; წარბწამწამი შეეღებნა გუნდით და შავად უელავდნენ და ალის ფერი ტუჩები ისეთის ხელოვნებით აქვნდა შეღებილი, რომ იუსტინიანეს, რომელიც მაგ ტუჩებს ჰკოცნიდა ხოლმე, ეჭვიც არ აუღია მასზედ თუ იგინი შეღებილია ფინიკიის მეწამულითა. ხელის ფჩხილთა ლამაზად მოკვეთას ბევრს საათებს ანდომებდა ხოლმე ყოველს დღეს მისი, განსაკუთრებით ამისათვის დანიშნული, მხევალი.

მართალია, სახეს მისსა არ ეტყობოდა დიდებულება; მისნი თვალნი, ცივად ბრწყინვალენი, არ აჩენდნენ დიდებულსა და ამაყს აზროვანობასა: ტუჩთა ზედა უთამაშიდა ჩვეულებათ გადაქცეული ღიმილი, რომელიც მომავალთა ნაკეცთათვის კვალსა ჰსდებდა სახესა; ლოყებზედ და თვალთა ქვემოდ, კარგად რომ დაგეკვირვებინათ თვალი, დაინახავდით ნიშნებს დაღალვისას.

მაგრამ ეხლა კი, როცა იგი იდგა წინაშე იუსტინიანისა მშვენივრად მოღიმარე და ამასთან მოხდენილის კეკლუცობით მარცხენა ხელით ოდნივ აეწივნა მძიმე კალთა მუქ-ყვითელის ფარჩის კაბისა, იგი თავიდამ ფეხამდე, მუშკამბარის სურნელებით აღსავსე, წარმოადგენდა მეტად მიმზიდველს მშვენიერს სანახაობასა.

— რამ გაახარა ჩემი ხელმწიფე-ბატონი? არ შეიძლება მაგ სიხარულში მეც წილი დავიდო? იკითხა მან ტკბილისა და პირ-ფერობის ხმითა.

იქა მდგომთა მყისვე მის წინაშე მუხლნი მოიდრიკეს. იუსტინიანე აირია, თითქო რაიმე დანაშაულში მოასწრესო. მას უნდოდა ქალის სურათი დაემალა როგორმე, მაგრამ გვიანღა იყო. დედუფალმა თვალი შეასწრო კიდეც სურათსა და აღარ მოაშორა.

— ჩვენ მოწონებით ვსინჯავდით საოცარს ხელოვნებას ამ სურათის ჩარჩოსას.

ჰსთქვა ეს იუსტინიანემ და გაწითლებულმა მიაწოდა სურათი.

(შემდეგი იქნება)

ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ.

ამას წინად ერთი შესანიშნავი ჰაერით მოგზაურობა მომხდარა: 26 აპრილს ფილადელფიაში (ამერიკაში) ხუთი კაცი ჩამჯდარა ჰაერით-მატარებელში (аэростатъ) და 28-ს საფრანგეთს გადმომსხდარან, ასე რომ მთელი ატლანტიის ოკიანე 60 საათის განმავალობაში გადაუვლიათ, ე. ი. ორ დღე-ნახევარს.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჰაერში ასვლა მოიგონეს, მაგრამ აქამდისინ ჰაერით მატარებელი ვერ იყო ისე გაწყობილი, რომ მისი შემწეობით მოგზაურობა და დიდ მანძილზედ სიარული შესაძლო ეოფილიყო. ჰაერში აშვებული მატარებელი ქარის ანაბარას იყო მიგდებული და სადაც ქარი წაიღებდა იქითკენ უნდა წასულიყო. კაცს შეუძლიან, რასაკვირველია, ან მაღლა ასწიოს, ან ძირს დაუშვას და ან ერთ ალაგას შეაყენოს მატარებელი, მაგრამ მისი მიმართულება კი მის ხელთ არ არის. ამის გამოისობით ზემოხსენებული მოგზაურობა დიდად შესანიშნავია და დაწვრილებით გაცნობის ღირსია, და გავაცნობთ კიდეც მკითხველს ერთის ჰარიჟელის კორრესპონდენტის სიტყვით. ეს მოგზაურობა ორის კაცის თაოსნობით მომხდარა, ფლამარენისა და იაკობისა. ექვსის თვის წინად უფ. ფლამარენმა იმისთანა მეხანიზმი მოიგონა, რომლის შემწეობით კაცს შეუძლიან თავისის ნებით შესცვალოს მატარებელის მიმართულება. ფლამარენი იმას კი არ ამტკიცებს, რომ მართლა იმისთანა რამ მოეგონოს, რომლის შემწეობით ეოველ ჟამს შეეძლოს მატარებლის მიმართულების შეცვლა, არამედ ფლამარენი ამბობს, რომ ეს სრულიად შეუძლებელიაო, რადგანაც არავითარი ჰაერში მატარებელი ქარს ვერ გასჭრის და მის პირდაპირ ვერ ივლის. ფლამარენმა მხოლოდ შემდეგი მოიგონა: ჰაერში ეოველთვის მოიპოვება იმდენად ღონიერი ჰაერის დენა, რომ წაიღოს აეროსტატი უფრო ჩქარა, ვიდრე რკინის გზის მატარებელმა. ეს ჰაერის დენა სხვა და სხვა სიმაღლეზედ სხვა და სხვა მიმართულებისაა. მატარებელში მჯდომის საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიმართულების ჰაერის დენაში ჩავარდეს, საითკენაც მიემგზავრება. აი ეს დანიშნულება აქვს ფლამარენის მიერ მოგონილს აგებულებას, რომელიც მას შემდეგის სახით მოუწევია: გააკეთებინა ერთი უშველებელი თავთის ბურთი, რომელსაც დიდი ორ სართულიანი ნავი ჩამოაბა და ძლიერი ორთქლის ოწინარი (поровая машина) გაუკეთა.

თითო მოგზაურმა ორი თბილი საბნის მეტი სხვა ბარგი არ წაიღო, თბილათ ჩაიცვეს და თან წაიღეს 20 გირვანქა ვიჩინა და ჩაჩხის-ხორცი ათი დუჟინი შემწვარი კვერცხი და რამდენიმე ბოთლი ხორცის წვენი (бульон). სასმელად წაიღეს: ღვინო, კონიაკი და წყალი,—ეს სასმელები ესხათ

ტიკებში, რომელნიც ნავის გარედ იყვნენ მიკრულნი. მოგზაურები წამოვიდნენ ფილადელფიიდამ 14 (26) აპრილს დილის ოთხ საათზედ. გაზით ავსებული ბურთი ჯერ წუნარად და ტოკვით ადიოდა მაღლა, მერე კი თან და თან უფრო ჩქარა, მანამ ათი ათასის ფუტის (სამ ვერსტამდე) სიმაღლეზედ არ ავიდნენ. ცა მოწმენდილი იყო და მშვენიერი დარი იდგა. ქალი იქითკენ მიქროდა საითკენაც მოგზაურებს გზა ედვათ. ოწინარმა თავისებურად დაუსტვინა, ჩარხები დატრიალდნენ და ბურთი გაქანდა აღმოსავლეთისკენ. ცხრა საათის განმავლობაში არაფერი ცუდი არა შემთხვევიათ რა; ბურთი სულ ათი ათასის ფუტის სიმაღლეზედ მიფრინავდა და მგზავრები სრულებით არა გრძნობდნენ მოძრაობას, რადგანაც ისინი ქართან ერთად მიექანებოდნენ, იმათ ეგონათ, რომ ჰაერში არავითარი მოძრაობა არ არის. შუადღისას კარგა მადიანად დანაურდნენ. მეორე საათზე ბურთი ღრუბლებში შევიდა და ნისლში ვიდოდა. ჰაერის დიდი სისველისაგან ბურთსა, ნავსა და მოგზაურთა ტანსაცმელზე ნამის წვალმა დენა დაიწყო. ნისლი ისეთი სქელი და განუჭვრეტავი იყო, რომ კაცი თავის საკუთარ ხელს ვერა ხედავდა. ერთი საათი ასე იყო, მერე კი ისევ მზემ გამაანათა.

ღამემაც ისე მშვიდობით გაიარა, როგორც დღემ, და მოგზაურებს არა შემთხვევიათ რა. ფლამარენისა და იაკობის გარდა სხვებმა კარგად გამოიძინეს კიდეც და მეორე დილას გაიღვიძეს ჯანმრთელას და საღად. მეორე დღეც ისე მშვიდობით გაატარეს, როგორც პირველი. ბურთს ცოტა გაზი გამოუვიდა და ამისგამო ძირს დაეშვა, ასე რომ მხოლოდ 7,500 ფუტის სიმაღლეზედა მიდიოდა. ოკიანეზე დიდი მიმოსვლა იყო ხომალდებისა. ეს გარემოება უმტკიცებდა მოგზაურებს, რომ მათი ბურთი იმავე მხარეს მიდიოდა, საითკენაც ხომალდები ვიდოდნენ, და მაშასადამე მატარებელი სწორეთ მოქმედებდა. რადგანაც საქმე კარგად მიდიოდა ფლამარენმა დასვენება მოინდომა და დაიძინა. ოთხი საათი ტკბილად ეძინა. შემდეგ ბურთი საშინლად იძრა და ფლამარენს გამოეღვიძა. ქარი უეცრად გამოიცვალა და კომპასი ანიშნებდა მოგზაურებს, რომ ქარი სრულებით სხვა მხარეს მიქროდა. ბურთიც საშინელის სისწრაფით ჩრდილოეთისკენ მიიმართა. მოგზაურები ძალიან შეშინდნენ. მხოლოდ იაკობი იყო გულმაგრად. „ეს ამბავი დიდხანს არ გასწევსო,“ სთქვა მან. ბურთი კი მაინც ჩრდილოეთისაკენ მიექანებოდა, და თან და თან უფრო და უფრო აცივდა. დაუხვდათ, შემდეგ პირის-პირი ქარი და ბურთი უკუღმა დატრიალდა და შეინძრა. მაგრამ ქარმა ჩქარა გამოიცვალა მიმართულება და მოგზაურები ისევ აღმოსავლეთის მხარეს მიუბრუნდნენ. გარდა ამისა, ამ დღეს სხვა არაფერი არა გადახდენიათ რა. მაგრამ მესამე დღეს კი დიდ განსაცდელს და ფათერაკს შეემთხვნენ.

დიდი ნისლიანი დილა დაუდგათ სხვა და სხვა და ერთი ერთმანეთის პირის-პირი ქარი ჰქროდა. ფლამარენმა თავის ჩარხების შემწეობით ბურთი მაღლა აუშვა იმ იმედით აგები იმ ქარში ჩავდგეო, რომელიც გვსურსო. როდესაც მოგზაურები 9,500 ფუტის სიმაღლეზედ ავიდნენ ისევ დასავლეთის ქარი (რომელიც უნდოდათ) დაუხვდათ, მაგრამ ეს ქარი თან და თან ძლიერდებოდა და ბოლოს დილის რვა საათზე მძლავრ გრიგალად გადიქცა. ეს გრიგალი მარტო ზემო-ჰაერში კიარ იყო, არამედ თვით ოკეანეშიაც, რომელიც საშინელს სანახაობას წარმოადგენდა: ტალღები მთებსავით ადიოდ-ჩადიოდნენ და მათ შორის შავი უფსკრული მოჩანდა. ტალღების ჭექა-გრიალი, ქარის სტვენა და ბღავილი ქუხილსავით ეჩვენებოდა მოგზაურებს. ფლამარენმა უცებ კანკალით გაიშვირა ხელი და დაანახვა თავის ამხანაგებს, რომ ბურთი გახეულა. ბურთი, ამის გამო, საშინელის სიჩქარით ძირს წამოვიდა, ოკეანის საშინელებას თან და თან უახლოვდებოდნენ ასე, რომ მისი გრიალი უფრო და უფრო ცხადად ესმოდათ მოგზაურებს. წამოხტა მაშინვე იაკობი, დიდის გამბედაობით ავარდა იმ ალაგას, საცა ბურთი გახეული იყო, ჰარუსინის ნაჭერი დაადვა და გახეული გაკერა. ამ საქმეში სულ ათი მინუტი არ გასულა. ამასობაში ბურთი ისევ დაბლა დაესვა ასე რომ ოკეანედამ სულ 500 ფუტზედღა იყო მაღლა. ხუთი მინუტი, რომ კიდევ გასულიყო მოგზაურნი სიცოცხლეს გამოესალმებოდნენ. იაკობი რომ ძირს დაეშვა, მისი ამხანაგები გადაეხვივნენ და სიხარულით კინაღამ არ დაახრჩეს. ბურთმა ისევ ზევით აიწია და 5,000 ფუტის სიმაღლეზედ ავიდა. გრიგალი თერთმეტ საათამდე უბერავდა. შემდეგ ბურთი ნისლში შევიდა და ორ საათზე ისევ მზე გამოჩნდა. ამავე დროს მოგზაურებმა ჩრდილოეთის მხარეს ხმელეთი დაინახეს, რომელიც ბნელს გორასავით მოჩანდა და შუაზე რაღაც უცნაური ცეცხლი ამოუდიოდა.

— „ეს ისლანდიაა თავისის ცეცხლის-მფრქვეველის მთითა.“ წამოიძახა ფლამარენმა. „ისლანდია! ევროპა! სიხარულით დაიკივლეს მოგზაურებმა. საღამოს ხუთ საათზე აღმოსავლეთისკენ რაღაც მოლურჯი ზოლი გამოჩნდა, რომელიც ზღვაში ძლივს ერჩოდა. „ეს ღრუბელია თუ ხმელეთიო.“ კითხულობდნენ—ხმელეთი იყო. მოგზაურნი თან და თან უახლოვდებოდნენ მას და საღამოს შვიდის ნახევარზე მშვიდობით ჩამოხდნენ ბრეტანში (საფრანგეთში).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Іюля 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი,
რედაქტორ-გამომცემელი **ნუგზარ ჭიაბერაშვილი**

სარედაქციო ჯგუფი: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**

პროექტი: ივერია – წარსულში ღაბრუნება – მომავლის მაღასარჩენად

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაფუძნებულია 2011 წლის 2 აგვისტოს

მომავლისეული შეს „სამომავლო სახლი ქართული ენიტა“ საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; chiaberashvili@gmail.com